პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 24 ივლისი, 1948 წ. № 146 (8190). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვადამდე შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით (1-ლი გვერდი).
დავაჩქაროთ ლეწვა, სანიმუშოდ ჩავატაროთ პურის დამზადება (მე-2 გვერდი).
გ. სიხარულიძე — დიდი რევოლუციონერი დემოკრატი (მე-2 გვერდი).
ბავშვთა თვითშემოქმედების მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები (მე-3 გვერდი).
მ. ბურჯულაძე — მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების საზოგადოებრივი დათვალიერება (მე-3 გვერდი).
მზადება ახალი სასწავლო წლისათვის (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ვადამდე შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებზე ფართო ფრონტით გაჩაღდა. ლაგოდეხის, წითელწყაროსა და გარდაბნის რაიონების კოლმეურნეობებმა უკვე დაამთავრეს პურის მკა. კოლმეურნე გლეხობა ძალასა და ენერგიას არ იშურებს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. სოციალისტურმა შეჯიბრებამ სოფლად ფართო გაქანება ჰპოვა. მრავლდება უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები.

კოლმეურნეობებში დღითიდღე ძლიერდება აგრეთვე სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ტემპი. მოწინავე კოლმეურნეობები პირველ განალეწ საუკეთესო ხარისხის მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ და ამით კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას. 20 ივლისისათვის მთლიანად ჩვენს რესპუბლიკაში ჩაბარებული იყო 2.000-მდე ტონით მეტი პური, ვიდრე შარშან ამავე დროისათვის. წითელწყაროს, ბოლნისის, სიღნაღისა და თბილისის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები წარმატებით იხდიან ვალს სახელმწიფოს წინაშე. თბილისის რაიონის სოფელ კუმისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ პირველი განალეწი პური დამამზადებელ პუნქტს ჩააბარა. კასპის რაიონის სოფელ მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა ყოველდღიურად მონაწილეობს პურის დამზადებაში. სახელმწიფო მიმღები პუნქტებისაკენ განუწყვეტლივ მიედინებიან კარგი ხარისხის მარცვლეულით დატვირთული ავტომანქანები და ურმები.

მოსავლის აღება და პურის დამზადების გეგმის შესრულება პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, დამამზადებელი და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების საბრძოლო ამოცანაა. კოლმეურნეები, სოფლის ყველა მუშაკი ვალდებული არიან მთელი სერიოზულობით მოეკიდონ ამ საქმეს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ კოლმეურნეობაში სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების საქმე სათანადოდ ორგანიზებული არ არის. ამის გამო პურის დამზადების ტემპიც არადამაკმაყოფილებელია. ასეთ ფაქტებს ვხვდებით საგარეჯოს, ყვარლის, მცხეთის, გურჯაანის, კასპის, თელავის რაიონებში. ზოგან აშკარად არ აფასებენ პურის დროულად ჩაბარების უდიდეს მნიშვნელობას. მაგალითად, ახმეტის რაიონის მატნის, დუისის, ჯოყოლოს და ახმეტის სასოფლო საბჭოებში შემავალ მთელ რიგ კოლმეურნეობებს პური გალეწილი აქვთ, მაგრამ სახელმწიფოს წინაშე ვალის მოხდას აჭიანურებენ. ეს იმასაც მოწმობს, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ახმეტის რაიონული კომიტეტი არასაკმაოდ ზრუნავს აღნიშნულ სოფლებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღების პირობებში პურის დამზადების საქმეში ასეთ ჩამორჩენას ადგილი არ ექნებოდა. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთოს შექმნილი მდგომარეობიდან.

სოფლად ახლა მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა დაექვემდებაროს მთავარ ამოცანას — მოსავლის უდანაკარგოდ აღებას და პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებას. სოფლის მეურნეობის მუშაკებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ დიდი სტალინის მითითება: „...ნუ მოაკლებთ ყურადღებას მთავარ ამოცანას, გამალეთ პურის დამზადება მოსავლის აღების პირველივე დღეებიდან და დააჩქარეთ იგი, ვინაიდან პირველი მცნებაა პურის დამზადების გეგმის შესრულება".

თვითეული კოლმეურნეობა ვალდებულია სასტიკად დაიცვას პურის გაზიდვის გრაფიკი, სრული დატვირთვით გამოიყენოს ავტომობილები და საპაპანო ტრანსპორტი.

პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესასრულებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის გალეწვის სწორ ორგანიზაციას. ფაქტები მოწმობენ, რომ ლეწვა ყველგან როდია სათანადოდ ორგანიზებული. მაგალითად, ახმეტის რაიონში 4 სალეწი მანქანიდან არც ერთი არ მუშაობს სრული დატვირთვით. ამავე რაიონის სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში სალეწმა მანქანამ 8 დღის განმავლობაში მხოლოდ 15 საათი იმუშავა. მარტივი მანქანებითა და ხელით აღებული მოსავლის ლეწვის ტემპი დაბალია გორის რაიონის სოფელ ძევერაში. ამავე რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადში" 12 კალოს ნაცვლად 6 კალო აქვთ მოწყობილი. კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობა „მნათობში" პური უკვე მომკილია 135 ჰექტარზე, ლეწვას კი აგვიანებენ. ეს ჩამორჩენა შრომის მოუწესრიგებლობის შედეგია. ასეთი ფაქტები სხვაგანაც არის.

საჭიროა მკის დაწყების არაუგვიანეს ხუთი დღისა დავიწყოთ პურეულის ლეწვა, უზრუნველვყოთ სალეწების დღედაღამ სრული დატვირთვით მუშაობა, მტკიცედ დავიცვათ სალეწი მანქანების მოძრაობის მარშრუტი. სალეწების სრულად გამოყენებასთან ერთად მოსავლის გალეწვაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კევრები. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ლეწვა ვაწარმოოთ ყოველგვარ ამინდში. ამისათვის საჭიროა გადახურული კალოებისა და ფარდულების მოწყობა, უნდა დავაწესოთ კონტროლი გალეწილი პურის დასაცავად.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა პურის დამზადება უნდა გააჩაღონ მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე და არ დაუშვან პურის ჩაბარების ტემპის ჩამორჩენა გალეწვის ტემპისაგან. განუხრელად უნდა განვახორციელოთ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის მითითება: „გალეწვის დაწყებისთანავე მიღწეულ იქნას, რომ ყოველი კოლმეურნეობა, ყოველი საბჭოთა მეურნეობა ყოველდღიურად იღებდეს მონაწილეობას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებაში და იმყოფებოდეს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი გავლენის ქვეშ პურის დამზადებათა გეგმის მთლიანად შესასრულებლად და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონებს".

პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დამამზადებელი აპარატის მუშაობაზე. უნდა გავზარდოთ დამამზადებელი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა ამ საქმეში, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ პურის მიმღები პუნქტები ყველგან შეუფერხებლივ, სანიმუშოდ მუშაობდნენ. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატური კონტროლი გაუწიონ მიმღები პუნქტების მუშაობას, ისინი პასუხისმგებელი არიან პუნქტებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის. სამწუხაროდ, ზოგან ეს მუშაობა ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. მაგალითად, ნავთლუღის მარცვლეულის მიმღებ პუნქტში სუსტად არის დაყენებული კულტურულ-მასობრივი მუშაობა. ნაკლოვანებანი ახასიათებენ ქარელის მარცვლეულის მიმღები პუნქტის მუშაობასაც. დამამზადებელ პუნქტებს მეტი დახმარება უნდა გაეწიოს. საჭიროა უზრუნველვყოთ პუნქტები სასწორებით, ლაბორატორიის, ძარცვალსაწმენდი და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარითა და მოწყობილობით. ეს მნიშვნელოვნად დაგვეხმარება პურის დამზადების ტემპის დაჩქარებაში.

წელს გადიდებულია მოთხოვნა ჩასაბარებელი მარცვლეულის ხარისხისადმი. კოლმეურნეობები ვალდებული არიან პუნქტში ჩასაბარებლად ისეთი პური წაიღონ, რომელიც მთლიანად შეეფერება დაწესებულ კონდიციას. სოფლის კომუნისტების ღირსების საქმეა თვალყური ადევნონ ამ მოთხოვნათა დაცვას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ნატურალური ავანსის სწორად გაცემას. მოსავლის აღების განმავლობაში და პურის დამზადების გეგმის შესრულებამდე კოლმეურნეობებს შეუძლიათ გადარიცხონ მარცვლეული ნატურალური ავანსების გასაცემად და შინასაკოლმეურნეო საჭიროებისთვისაც — სახელმწიფო დამამზადებელი პუნქტებისათვის ფაქტიურად ჩაბარებული მარცვლეულის 15 პროცენტის რაოდენობით. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას.

სოფლის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანაა გადაჭრით გაძლიერდეს პურის ჩაბარების ტემპი, ერთი წუთითაც არ დაყოვნდეს ლეწვა. დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით საქართველოს სოფლის მშრომელებმა სხვა ვალდებულებებთან ერთად იკისრეს ვადამდე შეასრულონ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარვმართოთ ამ ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის.

სამპროცენტიანი შინაგანი სესხის მოგებათა მე-4 ტირაჟი

30 ივლისს მოსკოვში შესდგება სამპროცენტიანი სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის მეოთხე ტირაჟი.

გათამაშდება 4.150.200 მანეთის 8.500 მოგება, აქედან ორი 50-ათასმანეთიანი მოგება, ხუთი 25-ათასმანეთიანი, ოცდახუთი—10-ათასმანეთიანი, ოთხმოცი — 5-ათასმანეთიანი, შვიდასი—ათასმანეთიანი და 7.688 ოთხასმანეთიანი. (საქდესი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

1948 წლის 22 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მთავრობის ჯილდოები გადასცა საქართველოს ნავთის მრეწველობის იმ მუშაკთა ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებული არიან ნავთის მოპოვების 1946 და 1947 წლების გეგმის შესრულებისა და ნავთის პროდუქტების წარმოების დარგში წარმატებითი მუშაობისათვის.

ამხ. ვ. ბ. გოგუამ ლენინის ორდენი გადასცა ტრესტ „საქნავთის" მმართველს ა. ა. კამლაძეს, № 429 ქარხნის დირექტორს ზ. ა. ფირიაშვილს და ტრესტ „საქნავთის" ბურღვის ოსტატს თ. ი. ჩხიკვაძეს.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა ტრესტ „საქნავთის" მთავარ ინჟინერს ვ. კ. აბესაძეს, ტრესტ „საქნავთის" ბურღვის კანტორის მთავარ ინჟინერს ი. ნ. ბერკუტოვს, ტრესტ „საქნავთის" სუფსის ნავთძიების უფროსს ე. ნ. ვასაძეს, № 429 ქარხნის № 2 საამქროს ოპერატორს ა. ვ. ძნელაძეს, ტრესტ „საქნავთის" მთავარ გეოლოგს ა. გ. ლალიევს, „გლავტეხსნაბნეფტის" თბილისის კანტორის მმართველს მ. ბ. ნახაპეტოვს, ტრესტ „გრუზნეფტეპრომმატერიალის" მმართველს ვ. ბ. სარალიძეს, ტრესტ „საქნავთის" ბურღვის წითელწყაროს კანტორის მბურღავს მ. ი. რობიტაშვილს და ტრესტ „საქნავთის" მექანიკური სახელოსნოს ხარატს ი. გ. სინჯარაძეს.

„საპატიო ნიშნის" ორდენი მიიღეს ტრესტ „საქნავთის" კავთისხევის ნავთძიების უფროსმა ელექტრომონტიორმა ს. გ. ახნაზაროვმა, № 429 ქარხნის ოპერატორმა რ. კ. პაშალიშვილმა და სხვებმა, სულ 14 კაცმა.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის" მიიღო 9 კაცმა, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის" — 7 კაცმა.

ამავე დღეს ორდენები და მედლები გადაეცა ტრესტ „ხრამჰესმშენის" მუშაკთა ჯგუფს. შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა „ხრამჰესმშენის" მაღალვოლტიანი ქსელის მშენებლობის სამმართველოს უფროსს ა. ს. მიქაბერიძეს, „საპატიო ნიშნის" ორდენი — ლითონის კონსტრუქციების ქარხნის დირექტორს ი. ნ. უსოვს, „ხრამჰესმშენის" მაღალვოლტიანი ქსელის მშენებლობის სამმართველოს ზეინკალს შ. ა. ბერუაშვილს, წალკის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს კ. ი. სევასტოვს და სხვა მუშაკებს, სულ 7 კაცს. მედალი „შრომითი წარჩინებისათვის" მიიღო სამმა კაცმა.

იმავე დღეს ამხ. ვ. ბ. გოგუამ ლენინის ორდენი გადასცა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანს ა. გ. გობრონიძეს, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის აღების გეგმის 35,3 პროცენტის გადამეტებით შესრულება, და გალის რაიონის კოლმეურნეობა „ჭითა ჩხორიას" ყოფილ მერგოლეურს შ. მ. არკანიას 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 70,3 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

დასასრულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ დაჯილდოებულთ მიმართა სიტყვით და მიულოცა მაღალი ჯილდო.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ ა. ა. კამლაძე და ზ. ა. ფირიაშვილი. (საქდესი).

მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე

რკინიგზელის სრულიად საკავშირო სტალინური დღისათვის მზადების ტემპი ამიერკავკასიის რკინიგზაზე უკანასკნელ დღეებში შეუნელებლივ ძლიერდება. რკინიგზის სხვადასხვა უბნებიდან, განყოფილებებიდან და საწარმოებიდან მოდის ცნობები თავიანთი ტრადიციული დღესასწაულისათვის მოწინავე რკინიგზელთა ახალი შრომითი მიღწევების შესახებ.

ამას წინათ ტუაფსის საორთქლმავლო დეპოს, სოჭის სალიანდაგო დისტანციის და თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივებმა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს მიმართეს წინადადებით, რომ ივლისის ბოლო კვირა მთელ გზაზე გამოცხადებული ყოფილიყო სტახანოვური ვახტის კვირად. ამ წინადადებამ ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა. 21 ივლისიდან ამიერკავკასიის რკინიგზის მთელმა კოლექტივმა თავი სტახანოვურ ვახტზე მდგომად გამოაცხადა და რკინიგზელთა დღესასწაულისათვის უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად გამოიწვია ჩრდილო კავკასიის, ორჯონიკიძის და აზერბაიჯანის რკინიგზელთა კოლექტივები.

საქართველოს სარკინიგზო უბნებისა და საწარმოების კოლექტივებმა სტახანოვური ვახტის დღეებში იკისრეს ივლისის გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება ყველა მაჩვენებლების მიხედვით.

მემანქანე გ. ბერუაშვილის მიღწევა

რკინიგზის სტალინური დღისათვის მზადების პერიოდში ახალი მნიშვნელოვანი მიღწევა მოიპოვა თბილისის საელმავლო დეპოს კომკავშირული ელექტრომავლის მემანქანემ გაიოზ ბერუაშვილმა. 1 ივლისისათვის მან თავისი ელექტრომავლით, ნაცვლად 100.000 კილომეტრისა, ურემონტოდ გაირბინა 149.273 კილომეტრი და გასწია 14.652 მანეთის ეკონომია.

უკანასკნელი ერთი წლისა და 5 თვის განმავლობაში გ. ბერუაშვილმა თავის ელმავლით გეგმის გადამეტებით გადაზიდა 24.600 ტონა ტვირთი. ასეთ მაღალ მაჩვენებლებს მან მიაღწია იმის შედეგად, რომ ელექტრომავლის მიმდინარე რემონტს საკუთარი საშუალებით ასრულებდა და განსაკუთრებულად უვლიდა ელმავალის ძირითად ნაწილებს.

გაიოზ ბერუაშვილი აქტიურად მონაწილეობს მეელმავლე მემანქანეთა შეჯიბრებაში.

სტახანოვური ვახტის დღეებში

ხაშურის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა უკვე შეასრულა ორთქლმავლების აწევითი რემონტის ორი წლის გეგმა და ორთქლმავალთა გარბენის 9-თვენახევრის გეგმა.

შორაპნის სავაგონო დეპოს კოლექტივმა შეასრულა საბარგო ვაგონების რემონტის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 183 ვაგონი.

სადგურ თბილისში მომუშავე მატარებელთა შემდგენელმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. კაკაბაძე ხელმძღვანელობს, ახალი წარმატება მოიპოვა. ბრიგადა თვითეული მატარებლის შედგენაზე ხარჯავს 55 წუთს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 1 საათისა და 10 წუთისა.

მძიმე წონის მატარებელთა წაყვანაში ივლისში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანეს ამხ. მშვენიერაძეს. წლის დასაწყისიდან მას ნორმის გადამეტებით გადაზიდული აქვს 2.000 ტონა ტვირთი.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეულ ნაწარმოებთა მეორე ტომი

სტამბა „პეჩატნი დვორმა" პირველი ტომის შემდეგ გამოუშვა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეულის მეორე ტომი, რომელიც დასაბეჭდად გაამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა.

მეორე ტომში შესულია შემდეგი ნაწარმოებნი: კ. მარქსისა „გოთას პროგრამის კრიტიკა", „თეზისები ფეიერბახის შესახებ", წერილები; ფ. ენგელსისა — „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ", „კარლ მარქსი", „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", „ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული" და სხვ.

ორტომეული დაიბეჭდა 200 ათას ცალად.

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

ივლისის მეორე დეკადის შედეგები

ბელადის სახელობის ქარხანა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში პროფესიების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრება მოსამზადებელ საამქროთა წამყვანი პროფესიების მუშებს შორის შეუნელებელი აღმავლობით მიმდინარეობს. მჭედელთაგან საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ვ. გამხუაშვილს, რომელმაც დეკადური დავალება 299,4 პროცენტით გაანაღდა. მეორე ადგილზე გამოვიდა მჭედელი ვ. ესებუა (დეკადური დავალება შესრულებული აქვს 267,2 პროცენტით), ხოლო მესამე ადგილზე—ი. გედენიძე (248,6 პროცენტით. დეკადის განმავლობაში საგრძნობლად გააძლიერეს მუშაობის ტემპი მჭედლებმა მ. გუგულაშვილმა (გეგმა შეასრულა 230,1 პროცენტით), ვ. ხარჩილავამ (221,7 პროცენტით) და ს. ტურაშვილმა (220,6 პროცენტით).

მეყალიბეთა შეჯიბრებაში კვლავ ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა თ. ლორთქიფანიძის ბრიგადამ, რომელმაც დეკადური გეგმა 254,6 პროცენტით გაანაღდა. მეყალიბე გ. ლაგრაძის ბრიგადამ დეკადური დავალება შეასრულა 194 პროცენტით. შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა მეყალიბე ი. მელაძემ, რომელმაც დეკადური გეგმა 172,5 პროცენტით გაანაღდა.

მემოდელეებს შორის პირველობას მტკიცედ ინარჩუნებს ვ. სადჩიკოვი (დეკადური გეგმა შესრულებული აქვს 325 პროცენტით), ხოლო მეკოპეებს შორის ი. კილაძე (158.4 პროცენტით).

თბილისის საორთქლმავლო დეპო

მოსამზადებელ საამქროთა მუშებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ლითონმდნობელთაგან ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია ვ. ჩხეიძემ, რომელსაც დეკადური გეგმა 275 პროცენტით აქვს შესრულებული. წლის დასაწყისიდანვე ასეთი მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგად მან 17 ივლისს დაამთავრა 1948 წლის გეგმის შესრულება.

მეყალიბეებს შორის საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ა. აკოფიანმა (237 პროცენტი) და მ. ხაჩატურიანმა (170 პროცენტი). ლითონის ჩამჩეხავ მუშებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ი. ბებურიშვილს (237 პროცენტი).

დეპოს მჭედლებს შორის დეკადურ დავალებათა შესრულებაში დაწინაურდნენ ზ. ხეჩუაშვილი (მეუროვე ს. დავითაშვილი) და მ. ინჯიაშვილი (მეუროვე ნ. უსოვი). ხეჩუაშვილმა დეკადური დავალება შეასრულა 268,1 პროცენტით, ხოლო ინჯიაშვილმა 220,1 პროცენტით.

სპილენძსაგლინავი ქარხანა

თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც 6 თვეში შვიდი თვის დავალება 105,9 პროცენტით გაანაღდა, სამეურნეო წლის მეორე ნახევარშიც მაღალნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს.

მდნობელთა ბრიგადამ (ბრიგადირი ვ. ბენდიანიშვილი, წევრები—გ. მჭედლიშვილი და ვლ. მიშენკო) ივლისის მეორე დეკადაში გეგმით გათვალისწინებული დავალება 134 პროცენტით შეასრულა.

მტკეცავთა ბრიგადამ (ბრიგადირები მ. სეფაშვილი და ნ. შომახია, წევრები ა. ჯაფარიძე, გ. თარაშვილი, ს. სეხნიაშვილი, ა. კოტოვი), 16 ტონის ნაცვლად 17 ტონა გატკეცა და გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულა.

გამპრიალებლებმა ი. ქვათაძემ (ბრიგადირი). შ. თარაშვილმა და გ. ჯაფარიძემ 2.100 კვადრატული მეტრის ნაცვლად გააპრიალეს 2.200 მეტრი, რაც დავალების 104,7 პროცენტს უდრის.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანა

ამ ქარხნის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა თბილისის 12 მოწინავე საწარმოს მიმართვას და წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება იკისრა. ქარხნის სტახანოველები თავდადებით მუშაობენ ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში ლითონმსხმელებს შორის მეორე დეკადაში პირველობა მოიპოვა გ. აკოფოვმა, რომელმაც დავალება 210 პროცენტით შეასრულა. მეორე ადგილზეა ი. ჯიშკარიანი, რომლის საწარმოო მაჩვენებელია 203 პროცენტი.

მჭედლებს შორის კვლავ პირველობას ინარჩუნებს გ. ოგანეზოვი, რომელმაც 19 პროცენტით გადააჭარბა პირველი დეკადის მაჩვენებელს და დავალება 230 პროცენტით გაანაღდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ნინო ოლიკი (200 პროცენტი), მესამეზე გ. არაბიძე (190 პროცენტი). მჭედელ ზ. ბოდოკიას საწარმოო მაჩვენებელია 175 პროცენტი.

ზეინკალმა რ. არუთინოვმა ორმაგად გაანაღდა დავალება და პირველობა მოიპოვა. ა. ქაჯაიას და პ. თვაურის საწარმოო მაჩვენებელია 190 პროცენტი, გ. ჯამაშვილისა—180 პროცენტი.

რესპუბლიკური თათბირი სოფლის ელექტროფიკაციის საკითხებზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში ორი დღე მიმდინარეობდა რესპუბლიკური თათბირი სოფლის ელექტროფიკაციის საკითხებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ტრესტ „საქსოფლელექტროს" მუშაკები, რესპუბლიკის იმ წამყვან მშენებლობათა და დიდი საწარმოების ხელმძღვანელები, რომლებიც შეფობას უწევენ სოფლის ელექტროფიკაციას.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ზ. კეცხოველმა.

საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციის 1948 წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა „საქსოფლელექტროს" ტრესტის მმართველმა ამხ. ტ. თევოსიანმა.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი ვ. ტოგონიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ბოგდანოვკის რაიკომის მდივანი ნ. ივანოვი, ჩოხატაურის რაიაღმასკომის თავმჯდომარე გ. ანთიძე, „საქსოფლელექტროს" აფხაზეთის კანტორის უფროსი მ. ნიკოლაიშვილი, საგარეჯოს რაიონის პატარძეულის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ლელუაშვილი, „საქსოფლელექტროს" თბილისის კანტორის უფროსი ა. გოთუა, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი პ. ჯანაშია, ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. დავითულიანი, „საქსოფლელექტროს" გორის კანტორის უფროსი ალიბეგაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ა. დავითაშვილი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე მ. ნარსია, ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ს. ბუჯიაშვილი, გეგეჭკორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე აბაკელია, საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი ბ. ყურაშვილი, „საქსოფლელექტროს" ქუთაისის კანტორის უფროსი ძაათიანი, ბულაჩაურმშენის უფროსი ანანიევი, „საქსოფლელექტროს" გურჯაანის კანტორის უფროსი თავდგირიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომის მდივანი ა. ბექაური, „საქსოფლელექტროს" აჭარის კანტორის უფროსი ხარაზი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგეგმო კომისიის სათბობისა და ენერგეტიკის განყოფილების უფროსი შენგელია. წალკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სევასტოვი, ტრესტ ხრამჰესმშენის მმართველი ჭანკოტაძე, 26 კომისრის სახელობის ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი თხინვალელი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამდივნოს გამგე ენერგეტიკის დარგში ფრანგულიანი.

საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციის ამოცანების შესახებ თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გოგუამ.

თათბირის დახურვისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ზ. კეცხოველმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს თათბირი დიდ როლს შეასრულებს საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციის შემდგომი განვითარების საქმეში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები ვ. გოგუა, ა. თოფურიძე, ზ. კეცხოველი, კ. ცომაკურიძე და გ. ალავიძე.

დავაჩქაროთ ლენვა, სანიმუშოდ ჩავაბარეთ პურის დამზადება

თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი ხორბალი მიიღეს

ადრე გაზაფხულზე, როცა თოვლის დადნობის შემდეგ საკოლმეურნეო მინდვრებზე ჯერჯერ მწვანედ აბიბინდა, სიღნაღის რაიონის სოფელ ულაანოვკის კოლმეურნეობის მერგოლურმა ივ. კუდინოვმა გულმოდგინედ დათვალიერა მისი რგოლის მიერ დათესილი 16 ჰექტარი ყანა და გადასწყვიტა ყველფაერი გიეკეთებინა უხვი მოსავლის მიღებისათვის. მან შეკრიბა რგოლის წევრები და უბნის აგრონომთან ერთად აგროწესების საფუძველზე შეადგინა სამუშაო გეგმა, რომელსაც მთელი გაზაფხულის განმავლობაში მტკიცედ ახორციელებდა.

კუდინოვმა და მისი რგოლის წევრებმა სამჯერ გამარგლეს ყანა და სარეველა მცენარეები მოსპეს. კარგად მოაწყეს აგრეთვე მინდვრის თავგის წინაადმდეგ ბრძოლა, არ დატოვეს არც ერთი სორო, სადაც არ შეეტანათ შხამი. 16 ჰექტარზე დამატებითი კვებისათვის შეიტანეს ნაკელი და წუნწეხი.

ბარაქიანმა მიწამ კოლმეურნეებს ამაგი დაუფასა. სინამდვილეში ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ჰექტარზე სავშალელად მიღებული 28 ცენტნერი ხორბალი.

ახლა რაიონში კუდინოვის რგოლის გამოცდილების შესაბამისად ბევრი ადგილის მოაწყოს სამშამოდგომო პურეულის თესვა და მოვლა.

გ. ყაჯრიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პურის მოსავლის აღება ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე — ცენტრში — მერგოლური ნ. ფეიქიშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

კარგუნის მოსავლის აღება

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების რეპუბლიკური გეგმა საქართველოს კოლმეურნეობებში 20 ივლისისათვის შესრულებული იყო 53,2 პროცენტით. სულ აღებულია 184.152 ჰექტარი პურეული. მოსავლის აღება დამთავრებულია გარდაბნის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, ჩხარის, ზესტაფონის, წულეკიძის, წყალტუბოსა და ქუთაისის რაიონებში.

აჯარის ასს რესპუბლიკაში გეგმა 25,9 პროცენტით არის შესრულებული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—18,4 პროცენტით, სამტრედიის რაიონში — 99,5, მაიაკოვსკის — 99, ჭიათურის—75,9, საჩხერის — 59,8, ორჯონიკიძის — 51,1, ონის — 13,4, ამბროლაურის — 25,6, ქლეხორის — 9,7, ახალციხის—48,9, ადიგენის — 20,2, ასპინძის—13,5, ხაშურის — 82,2, ქარაგლის—71,6, გორის — 56,4, კასპის—72,1, ბორჯომის — 10,9, დუშეთის—28,6, თეთრი წყაროს — 41,1, გურჯაანის — 88, კაჯრეთის — 94, სიღნაღის—92,7, თელავის — 98,9, ახმეტის—78,5, ყვარლის — 96,1, თბილისის—90,1, მცხეთის — 72, მარნეულის—72,8, ბოლნისის — 81,2, საგარეჯოს—49,2, დმანისის — 0,9 პროცენტით.

კომბაინებმა მუშაობა მოსავლის აღებაზე

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 20 ივლისისათვის აღებული 184.152 ჰექტარი პურეულიდან 76.764 ჰექტარი კომბაინებით არის მომკილი (გეგმის 85,3 პროცენტი), დანარჩენი ხელით. 78.338 ჰექტარზე აღებული მოსავალი დაზვინულია, 95.937 ჰექტარისა კი, კომბაინებით აღებულის ჩათვლით, გალეწილია.

კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა, წარმატებით არის შესრულებული გარდაბნის, წითელწყაროს, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, თელავისა და სიღნაღის რაიონებში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გეგმა შესრულებული 30 პროცენტით, ხაშურის რაიონში—62, ქარელის — 56,3, გორის—34,1, კასპის—73, გურჯაანის — 87,9, კაჯრეთის — 96,1, ახმეტის — 71,9, ყვარლის—79,3, თბილისის — 90,8, მცხეთის — 89,3, მარნეულის — 70,8, ბოლნისის — 94,1, საგარეჯოს—60,6, დმანისის რაიონში—2,4 პროცენტით.

სიღოსის ჩაღება

იელისის მეთოხე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებში დამზადებულია 7.419 ტონა სილოსი, სულ 20 ივლისისათვის კი 33.202 ტონა. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 22,1 პროცენტით.

ქლეხორის რაიონმა სილოსის ჩაღების გეგმა 100 პროცენტით შესრულა, ახალქალაქისამ — 67,8, ბოგდანოვკის — 98,2, ახალციხის—3,7, ასპინძის — 61,5, ხაშურის—5, ბორჯომის—37,6, წალკის—66,5, დუშეთის — 0,1, თეთრი წყაროს—40,4, გურჯაანის — 20,3, კაჯრეთის—19,6, სიღნაღის—35,4, წითელწყაროს—61,6, თელავის — 7,5, ახმეტის — 12,3, თბილისის — 3,2, მარნეულის—5,4, ბოლნისის — 1,6, საგარეჯოს—7,5, დმანისის — 58,8, ორჯონიკიძის—11,2, ჩხარის — 2,8, მაიაკოვსკის რაიონში — 26,6 პროცენტით.

მეორე ყურაღღება ლენვას და პურის დამზადებას

ახმეტის რაიონში მოსავლის ხელით აღება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ბევრად აჭარბებს გეგმით ნავარაუდევ რაოდენობას. მოსავლის აღების გეგმა რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყოველდღიურად 120-130 პროცენტით სრულდება. ხელით ასაღები 5.870 ჰექტარიდან 14 ივლისისათვის აღებული იყო 5.500 ჰექტარზე მეტი.

სწრაფად და უდანაკარგოდ აღიღე მოსავალი ქმეგმი ალვანის ლენინის, ზემო ალვანის ბერიას, ხორბლის ლენინის, ზემო ალვანის შინსახკომის, სოფელ ბორბალოს მიქოიანის, საკობიანოს პიონელი მაისის, კუწახტის ბაქრაძის, ქვემო ხალაწნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში და ძიბანეველის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში“.

სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ითიერიძე) მოსავლის აღება 343 ჰექტარზე 10 სამშაოთ დღეში დაამთავრა. ამ სამეშო განსაკუთრებით გამოჩინეს თავი იმ ბრიგადებმა, რომლებსაც რ. არაბაულიე და რ. ქოთიძე ხელმძღვანელობენ.

მოსავლის აღებაში ზოგან ჩამორჩენაც არის. მაგალითად, სოფელ მატნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ჩიგილაშვილი) დაბალი დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა, არადამაკმაყოფილებელად იყენებენ მოზარდთა და ქალთა შრომას. კოლმეურნეობა საკუთარი საშუალებით დღეში 15 ჰექტარ პურეულს უნდა მკიდეს, მაგრამ სინამდვილეში 6-10 ჰექტარის მკასაც ვერ ასწრებს. 361 ჰექტარიდან 13 სამუშაო დღეში მხოლოდ 140 ჰექტარი აღიღე. აღებული აქვს დანაკარგებსაც. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფელ აწყურის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“, შაბათელას ბაქრაძის სახელობისა და ომალოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობებზე.

ახმეტის მტს-მა (დირექტორი მ. ცქიფურიშვილი, მთავარი პოლიტიკურ ნაწილში ს. წიქარიშვილი) მოსავალი წელს 2.100 ჰექტარზე უნდა აიღიოს, აღებული აქვს 1.300 ჰექტარზე. კომბაინერები ი. ნადირაძე, ბ. ნახუცრიშვილი, შ. ბლიაძე სრული დატვირთვით მუშაობენ, დღეში 10-12 ჰექტარს მკიან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა.

არიან ჩამორჩენილნიც. კომბაინერები, რომლებსაც ს. იობაშვილი და ა. მაისურაძე მართავენ, დღიური ნორმას სანაბეგრთოდაც ვერ ასრულებენ. მტს-ის ხელმძღვანელობამ უნდა გაამეიეროს მათდამი დახმარება.

სამარცხვინოდ ჩამორჩა ლეწვა. 14 ივლისისათვის აღებული 5.500 ჰექტარის მოსავლიდან მხოლოდ 1.500 ჰექტარისა იყო გალეწილი. 4 სალეწი მანქანიდან სრული დატვირთვით თითქმის არცერთი არ მუშაობს.

სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში სალეწმა მანქანამ (მემანქანე ს. ქაადე) 5-დან 13 ივლისამდე მხოლოდ 15 საათი იმუშავა, დანარჩენ დროს ტრაქტორის დაზიანების გამო გაჩერებული იყო. ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ალეწმა მანქანები სოფელ ქოსტიანსა და ტატანში.

ლეწვაში ჩამორჩენამ პურის დამზადების გეგმის ჩამორჩენაც გამოიწვია. 14 ივლისისათვის ჩაბარებული ჰექტარის მხოლოდ 77,2 ტონა მარცვლეული.

მატნის, დღისის, ჯოყოლოს, ახმეტის სასოფლო საბჭოებში შემავალ ბეერ კოლმეურნეობას პური გალეწილი აქვს, მაგრამ სახელმწიფოს წინაშე ვალის მოხდას აკიანურებს.

ორგანიზაციებმა ეს სამეურნეო ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ლეწვას და სახელმწიფოსთვის პურის ჩაბარებას.

ნ. იარალოვი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მივცეთ სამშობლოს მეორე პური

გორის რაიონის ბევრი კოლმეურნეობის ბრიგადა, რგოლი, ცალკეული კოლმეურნე დაწინაურდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

სოფელ ძევერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს 250 ჰექტარზე იღებენ თავთავიან მარცვლეულ კულტურებს. ვინაიდან ეს მეშობის ექვსი ბრიგადაა, რომლებშიც 275 კოლმეურნე იფვლება. მოსავლის აღებაში მოწონსაეა მემინდერეობის მეორე ბრიგადაა, რომელსაც აკ. ლომიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ კარგად მოაწყო ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ. 15 ივლისს მანინ ჯოლობორდის რგოლმა, რომელიც თავთავების აკრეფაზე მუშაობდა, აუკრეფაგი თავთავები დასტოკა. ეს იმავე დღესვე შეიტყო ყველ ბრიგადირმა და აგროტექნიკოსმა და ჯოლობორდის რგოლს ხელმეორედ შეასრულებინეს სამეშოო. ეს ფაქტი აგიტატორებმა ყველა კოლმეურნეს გააცნეს. ამის შემდეგ დანაკარგები ისეთითა. სტახანოვურად მუშაობენ კოლმეურნეები მ. ბუხრაძე, ი. ერმუნეშვილი, დ. ბუხრაძე და შ. მელქუეშვილი.

სოფელ შერთულის კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ გ. დადიანიძის მემინდერეობის ბრიგადამ 30 ჰექტარი პურეული მომკა. აქ სტახანოვიტად მუშაობენ გ. დადიანიძე, ნ. მაჩარიძე, ა. დადიანიძე, მოხეცი კოლმეურნეები ანტენ და ნინო დადიანიძეები. ბრიგადაში განმტკიცებულია შრომის დისციპლინა. კოლმეურნეები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ საკოლმეურნეო სამუშაოებს თავს არიდებდნენ, ახლა კარგად მუშაობენ მოსავლის აღებაზე. ასეთნი არიან: ელენე დადიანიძე, რომელმაც წელს გამოიმუშავა 63 შრომადღე, სოსიკო ლომსაძე და ელენე მშედლიძე. ამხ. მშედლიძე საუკეთესოდ მუშაობს თავთავების ფოცხვაზე. აქ მტკიცედ იცავენ მუშაობის ხარისხს. იყო ასეთი შემთხვევა: ვახტანგ გოგლაურაშვილმა დაუღებრობა გამოიჩინა და უხარისხოდ ვაცალა 0,5 ჰექტარი პურის ყანა. ის გ. ჭკადუას ეს სხვა უფრო მძიმე სამუშაოზე გადაიყვანეს. ამ გაფრთხილების შემდეგ გოგლაურაშვილი ძალაუნაფიფრად ეხარხლიანად შუშაობს.

სოფელ მარანაში პურს ერთსულოვნად მკის გიორგი ტატაშვილის ბრიგადა. დილიდან დაღამებამდე ერთიანნენ ეჯიბრებიან მცელავები, დამბულელები, მფოცხავები და თავთავის მკრეფავები. ბრიგადამ ლეწვაც დიეყო. უკვე გალეწილ 11 ჰექტარის მოსავალი. მოწონსავე ადამიანები პ. რაზმაძე, ფ. ტატაშვილი, ა. ქუნქაძე, მ. რაზმაძე და კოკაკვიშილი მერგოლური ქეთო არჩვაძე დაკალებებს გადაკარბებინ ასრულებენ.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობებს მოსავლის აღების საქმეში აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი. რაიონში ბოკიკოდეგ დაბალი მკის ტემპი. 20 ივლისისთვის კოლმეურნეობებმა მოსავალი აიღეს 10.490 ჰექტარზე, ნაცვლად შარშან ამ დროისათვის აღებული 11.247 ჰექტარისა. განსაკუთრებით დაბალია მოსავლის აღების ტემპი გორის, ქვემო ახალსოფლისა და შინდისის მტს-ების მომსახურების კოლმეურნეობებში.

აღებული მოსავლის ლეწვის ტემპიც დაბალია. სოფელ ძევერაში მოწყობილია ექვსი კალო, საჭირო იყო კიდევ ორი კალის მოწყობა, მაგრამ კეკრების უკონლობის გამო ეს ვერ შესძლეს. სოფელ ხელოვნურის კოლმეურნეობა „განთიადში“, სადაც მოსავლის აღება ჩქარი ტემპით სწარმოიგის, 12 კალის ნაცვლად ექვსი კალო აქვთ მოწყობილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიუროს სპეციალურად განხილა კოლმეურნეობებში მოსავლის აღების მიმდინარეობის საკითხი. ბიუროს მკაცრად გააკრიტიკა მტს-ებისა და ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა მუშაობა მოსავლის აღების, ლეწვისა და პურის ჩაბარების საქმეში და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ს. ყურაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დიდი რევოლუციონერი დემოკრატი

(120 წელი ნ. გ. ჩერნიშევსკის დაბადებიდან)

ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ყველაზე ბრწყინვალე წინამორბედთა რიცხვს ეკუთვნის. იგი იყო გამოჩენილი მოაზროვნე — სწავლული, მწერალი, დიდი მატერიალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი და პუბლიცისტი, ისტორიკოსი და ეკონომისტი. ყველა ამ დარგში დიდი რუსი ხალხის ამ საამაყო შვილმა საკუთარი სიტყვა სთქვა და წინ წასწია მეცნიერება.

ნ. გ. ჩერნიშევსკი დაიბადა 1828 წლის 24 ივლისს სარატოველი მღვდლის ოჯახში. შინაური განათლების მიღების შემდეგ იგი შედის სასულიერო სემინარიაში, სადაც სწავლაში განსაკუთრებული წარმატების გამო მას „მართლმადიდებელი ეკლესიის მნათობის“ ადგილს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ჩერნიშევსკიმ გადაჭრით უარჰყო ეს ბედი და თავის მიზნად ხალხისადმი სამსახური დაისახა. 1846-1850 წლებში ჩერნიშევსკი სწავლობს პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხოლო მეკი დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი დაჰყო სარატოვის გიმნაზიაში ისტორიკოსის დარგის მასწავლებლად.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჩერნიშევსკი ყურადღებით დაეუფლება თვალს დასავლეთის პოლიტიკურ ამბებს. განსაკუთრებით დაინტერესა იგი საფრანგეთის პოლიტარიატის ბრძოლამ 1848 წლის რევოლუციის დროს. თავის დღიურში, რომელშიც მას სისტემატიურად შეაქონდა შთაბეჭდილებანი და პირადი გადაწყვეტილებანი, ჩერნიშევსკი ოცნებობდა რევოლუციაზე და რუსეთის მეგზეიერ მომავალზე.

ჩერნიშევსკი ნათლად ამჩნევდა, რომ რუსეთის ცხოვრებაში რიგი ეკონომიური და სოციალური ძვრები იწყებოდა, ბეჭედი მზარდი უკმაყოფილება და „ეკონომიური განვითარების ძალა, რომელიც რუსეთს კაპიტალიზმის გზაზე ითრევდა“ (ლენინი), ამზადებდა რეფორმებს. განსაკუთრებით ცხადი გახდა ეს ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ. მოახლოებული ამბების შიშით მეფის მთავრობა იძულებული გახდა „ზეკიდან“ მოეხდინა რეფორმები, რათა თავიდან აეცილებინა მისი „ქვეკიდან“ გატარება ხალხის მიერ.

ჩერნიშევსკიმ გენიალურად გამოიცნო, რომ თვითმყრობელობისა და მისი ლაქაა მოხელეების მიერ გატარებული „რეფორმები“ არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა გლეხობას. ამიტომ ჯერ კიდევ რეფორმების გამოცხადებამდე მან სასტიკად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და გლეხობას ორგანიზებული რევოლუციური გამოსვლებისაკენ მოუწოდა, ამასთან დასაბა ამ გლეხური გამოსვლების საერთო-სახალხო რევოლუციად გადაქცევის პერსპექტივა.

ნ. გ. კრუპსკაია თავის მოგონებებში მოგვითხრობს, რომ ლენინი ყოველთვის გულისხმიერად ეხსენებდა ჩერნიშევსკის ღვაწლს. განსაკუთრებით, როცა გლეხთა საკითხს ეხებოდა, ლენინი კვლავ და კვლავ დაუბრუნდებოდა ჩერნიშევსკის. სოციალ-დემოკრატიის აგარარული პროგრამა, რომელიც ლენინმა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში შეიმუშავა, მარქსისა და ენგელსის შრომებთან ერთად ჩერნიშევსკის ღრმა ცოდნასაც ეყრდნობა.

მაგრამ „ჩერნიშევსკი... ვერ ხედავდა და არც შეეძლო გასული სუკუნის 60-იან წლებში დაენახა, რომ მხოლოდ კაპიტალიზმის და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შეაჩქაროს მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად“ (ვ. ლენინი, თხზ. ტ. XV, გვ. 179, ქართ. გამ.). ჩერნიშევსკი სოციალიზმში გადასვლაზე ოცნებობდა ძველი, ნახევარდფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით. ამან განსაზღვრა მისი სოციალიზმის უტოპიური ხასიათი, მაგრამ ეს იყო განსაკუთრებული ტიპის, რუსული ნიმუშის უტოპიური სოციალიზმი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა დასავლეთის უტოპისტთა მოძღვრებასთან. ეს უკანასკნელნი (სენ-სიმონი, ოუენი, ფურიე) გბაატონებული კლასების აპოლოგეტები და რეფორმისტები იყვნენ, ჩერნიშევსკი კი, ისევე როგორც გერცენი, ბელინსკი, დობროლიუბოვი, ბოლონდე რევოლუციონერი ფარნა. ან როგორ ხასიათობს ლენინ ჩერნიშევსკის პოლიტიკურ მოღვაწეობას: „ჩერნიშევსკი არ იყო მარტო სოციალისტ-უტოპისტი. ის იყო აგრეთვე რევოლუციონერი დემოკრატი, ის რევოლუციურ გაელენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის დაბრკოლებისა — ელეხური რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას“ (იქვე).

ამ ბრძოლის მკვეთრად გამოხატული პარტიული ხასიათი ჰქონდა. ამბების შემდგომშვა განვითარებამ ნათელჰყო, რომ ჩერნიშევსკის სახელოვანი ბრძოლების მემკვიდრე რუსი მარქსისტები გახდნენ, ხოლო ინ პარტიებმა და ადამიანებმა, რომელთაც ის ებრძოდა, წარმოშვეს კადეტები, ოქტიაბრისტები და სხვა შავრაზმიული პარტიები, მუშთა კლასის დაფეხებული მტრები.

ლენინის გამოთქმით ჩერნიშევსკი იყო უდიდესი დიალექტიკოსი, ეკრძალნელი ფილოსოფოსებისაგან განსხვავებით, რომელთა დიალექტიკა მხოლოდ ადამიანთა სულიერი მოღვაწეობის სფეროს მოიცავდა და რომლებიც პრაკტიკაში არსებული ყოფიერების მიმნებად რჩებოდნენ, ჩერნიშევსკი გამოიჩენილ რუს მატერიალისტებთან (ბერცენი, ბელინსკი, დობროლიუბოვი) ერთად დიალექტიკაში ხედავდა „ობიექტიკის ალგებრას“, ბრძოლის ბასრ იარაღს, რომელსაც უნდა გეკეთებინა ბაზა ახალი ძალებისათვის ძველი დახეულ-ბული წყობილების წინააღმდეგ. დიალექტიკა ჩერნიშევსკის ხელში, მისივე სიტყვებით რომ ეთქვათ, იყო „ეპიმეთრიტების კეთილსინდისიერი, დაუდალავი ძიების იარაღი“, „სინამდვილის შეცნობის ხერხი“.

ჩერნიშევსკის დიალექტიკა ესმოდა როგორც სინამდვილესთან მისასვლელი და მისი გარდამქმნელი მეცნიერული მეთოდი, რომელიც „არაფერი არ ზოგავს იმათ, ვინც თავისი დრო მოსცამა და ამბობს: ...ბოლოს და ბოლოს ჩვენს ქეიფზეფიდა ოქნება ეს დღესასწაული!“ (ნ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზ. გვ. 197).

ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციური ანა სამეცნიერო მოღვაწეობა რადიშჩევისა და ლომონოსოვის მატერიალისტური ტრადიციიდან იღებს სათავეს. ჩერნიშევსკიმ შემდგომ განავითარა გერცენისა და ბელინსკის დემოკრატიული მემკვიდრეობა. „ჩერნიშევსკიმ, რომელიც გერცენის ეკალდაკალ ნაოდნეულულ შეხედულებებს აეთარებდა—ამბობს ლენინი — უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ გერცენთან შედარებით. ჩერნიშევსკი გაცილებით უფრო თანმიმდევრული და მებრძოლი დემოკრატი იყო. მისი თხზულებებიდან ალასპრავი ბრძოლის სიო ჰბერის“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XVII, გვ. 342).

1888 წელს, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ჩერნიშევსკიმ დაწერა წინასიტყვაობა თავისი შრომის—„ხელოვნების ესთეტიკური ფენომენიდან“ შესახებ სინამდვილესთან“ მესამე გამოცემისათვის, რომელიც ალაბამებს დიდი რევოლუციონერის მიერ განვლილ გზას. ამ წინასიტყვაობიდან სჩანს, რომ ჩერნიშევსკის მებრძოლი სული სრულუფით ვერ გასტეხა მეფის მთავრობის საშინელმა რეპრესიებმა. ლენინმა უდიდესი შეფასება მისცა ამ ნაშრომებს.

„ჩერნიშევსკი მართლაც ერთადერთი დიდი რუსი მწერალია,—წერდა ლენინი,—რომელმაც შესძლო 50-იანი წლებიდან 1888 წლამდე მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმის სიმაღლეზე დარჩენილიყო და უკეთგადი ნეოკანტიანელების, პოზიტივისტების, მახისტების და სხვა ბზდადბეული ხალხის ანდაუბდა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XIII, გვ. 367. ქართ. გამ.).

ჩერნიშევსკის ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომია „ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“, რომელშიც რუსული აზროვნების ეს გენიალური წარმომადგენელი ფილოსოფიის თითქმის ყველა საკითხს ეხება. თანმიმდევრულად ასაბუთებს რა მატერიალისტური ფილოსოფიის ძირითად საკითხს — ცნობიერების მატერიიდან წარმოშობის შესახებ, ჩერნიშევსკი ეხება ამ საკითხის მეორე მხარესაც — ადამიანის ცნობიერების მიერ გარეგანი სამყაროს შეცნობის შესაძლებლობას და სასტიკად აკიტიკებს ყოველგვარ აგნოსტიციზმს და სკოლასტიკურ ამ მიმართულებით.

რევოლუციერმა ალღომ და კაპიტალიტური სასაქონლო მეურნეობის საფუძველანმა ცოდნამ ხელი შეუწყო ჩერნიშევსკის სწორი დასკვნების გამოყვანაში. თავის შენიშვნებში ჯ. ბ. მილის პოლიტიკური ეკონომიის შესახებ ჩერნიშევსკის საზოგადოებრივი კლასების წარმოშობა საზოგადოებრივ წარმოებას დაუკავშირა და მიუწვალობა და ტექნიკა საზოგადოებრივი პროგრესის გაწყვიფელ ელემენტად აღიარა. ჩერნიშევსკი ძალიან ახლოს მიეიდა ისტორიულ მატერიალიზმთან ისტორიაში პიროვნების როლის გაგების საკითხში, ხოლო მისი ბრძოლა რეგოლუციური პრინციპის სიწმინდისათვის და ფილოსოფიის პარტიულობისათვის დაბრძანებას უწევდა რევოლუციონერების მთელ თაობებს და ამკაბადაც დიდ ინტერესს იწვევს.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩერნიშევსკის შემოქმედებაში მის სახელგანთქმულ დისერტაციას „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულების სახელგანთქმულ სინამდვილესთან“. ამ შრომაში ჩერნიშევსკიმ მოგვცა მატერიალისტური ესთეტიკის საფუძვლები, დაასაბუთა ლიტერატურაში პატრიოტიზმის, ხალხურობისა და დემოკრატიზმის პრინციპები. ჩერნიშევსკიმ დაამტკიცა, რომ ნამდვილი ლიტერატურის უპირველესი მოვალეობა ხალხისადმი სამსახურია, რომ ვერც ერთი ლიტერატურული დოკუმენტი ვერ გახდება დიდი და ვერავითარ ჯვალს ვერ დაიჭენს ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებს, თუ არ ასახავს ხალხის საჭიროებას. ლიტერატურის ერთადერთ სასიცოცხლო ინტერესს ხალხისადმი სამსახური წარმოადგენს.

ლიტერატურის ხალხურობის პრინციპი, რომელიც ჩერნიშევსკიმ თავის დისერტაციაში წამოაყენა, წარმოადგენდა მკაცრ გალაშქრებას იდეალისტური ესთეტიკის — და თვითმყრობელობა, ბატონყმობა, „ბალანდინობა“ (ბელინსკი) „ხელოვნებაში“ წინააღმდეგ („ხელოვნება ხელოვნებისთვის“). ეს იყო მიზეზი, რომ მიუხედავად დისერტაციის წარმატებით დაცვისა, მეფის განათლების სამინისტრო ყოველნაირად აკავებენდა ჩერნიშევსკისათვის სამეცნიერო ხარისხის მიცემას. იგი ჩერნიშევსკიმ დისერტაციის დაცვიდან 3½ წლის შემდეგ მიიღო.

1862 წლის 7 ივლისს, მეფის 2 თავერთაბან ნ. გ. ჩერნიშევსკი დაატყვიეს. მაგრამ დაუდგრომელ რევოლუციონერს არც აქ დაუყარა იარაღი. პეტერპავლეს ციხის ეიწრო კაზემატში 22 თვის განმავლობაში (გასამართლებამდე) ჩერნიშევსკიმ 205 ნაბეჭდი ფურცელი დაწერა, რომელთაგან 66 ბელეტრისტიკამ დაიპარა. მათში უმთავრესი იყო რომანი „რა ვაკეთოთ?“.

თავის რომანს, რომელიც ავტორმა რევოლუციას და სოციალიზმს მიუძღვნა, ჩერნიშევსკიმ საფუძველად დაუდო თავისსავე დისერტაციაში გატარებული პრინციპები: რევოლუციისა და ხალხისადმი სამსახური. ამ ნაწარმოებში ჩერნიშევსკი ახალგაზრდა თაობას მოუთხრობს იმის შესახებ, თუ როგორ არის საჭირო რევოლუციისადმი სამსახური. მის მიერ შექმნილი „ახალი ადამიანების“ სახეები — კირსანოვი, ლოპუხოვი, ვერა პავლეს ასული და გასსაკუთრებით რახმეტოვი დიადი საქმეებისათვის ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ეს გმირები არ ჰგვანან არც ბომილოვლაკის ჩერეკანნის და სხვა გმირებს, რომლებიც ქმაყოფილი არიან თავიანთი „ბაწი ცხოვრებით“, არც ტურგენევის ბაზაროვს, რომელიც „ამხეჩვეს“ თავადაზნაურთა ილეზიებს, მაგრამ სწორი გზა ჯერ კიდევ ვერ მოუძებნია; ჩერნიშევსკის მიერ დახატული გმირები, ახალი ადამიანები არიან, რომლებიც ებრძვიან რა ძველ ცხოვრებასა და მის დახავსებულ წესებს, მეფეს და მეუმბილეს, სხვისი შრომის მიმტაცებლებს, ჰქმნიან ახალ საზოგადოებრივ და საყოფაცხოვრებო ურთიერთობას.

ჩერნიშევსკის პროგრესულმა იდეებმა უღრმესი ეკვანა მოახდინეს რუსეთის განაპირა ქვეყნების და, განსაკუთრებით სლავური ქვეყნების რევოლუციონერებზე. ჩერნიშევსკის ნაწარმოების „რა ვაკეთოთ?“ წინასიტყვაობაში ბ. მ. დიმიტროვი სწერს, რომ ახალგაზრდა რევოლუციონერთა თაობები ბალკანეთის ქვეყნებში იზრეკებოდნენ „რა ვაკეთოთ?“-ის გმირთა — რახმეტოვის, კირსანოვის, ლოპუხოვის და ვერა პავლეს ასულის მაგალითზე და ძალიან ხშირად პირდაპირ ციდლოლენენ წაიგანთ მათი პირადი სიმტკიცისათვის, ურაკეგობისათვის, რევოლუციის სქმისადმი თავდადებისა და მტრებისადმი შეურიგებლობისათვის — იმ თვისებებისათვის, რომელნიც ჩერნიშევსკის გმირებს ახასიათებენ“ (ნ. ჩერნიშევსკი, „რა ვაკეთოთ?“ გვ. I, „ბოლოდაია ვეჩერია“, 1935 წ.).

თავისი დროის „ფეოქრთა მპყრობელმა“ ნ. ჩერნიშევსკიმ ღრმა ვადი დაანინა XIX საუკუნის ქართული კულტურის განვითარებასაც. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და სხვები ჩერნიშევსკის მიერ გაკეთილი გზით მიდიოდნენ. ბელინსკის, დობროლიუბოვის და ჩერნიშევსკის ვაფეენით შეჩაქნა ი. ჭავჭავაძემ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ჩვენში და „სათავეში ჩაუდგა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ნ. გ. ჩერნიშევსკი სასტიკი მტერი იყო თვითმპყრობელობისა და მთელი თავისი არსებით ებრძოდა მას. რომგორც ზევით იყო აღნაშნული, 1862 წელს, „სამატონო ბელეტრისტიკაში“. მისი ცნობილი პროკლამაციის გამოქვეყნის შემდეგ ის დაპატიმრეს თვითმპყრობელობამ და პატრე-პავლეს ციხეში მოთავსეს. ორი წელის პატიმრობის შემდეგ (1864 წ. 19 მაისს) თვითმპყრობელობამ ის „სამოქალაქო წესით“ დასაჯა და ბეგოვნა ციმბირის მაღაროებში სამუშაოდ. საკატორღო მუშობის დამთავრების შემდეგ (1871 წ.) თვითმპყრობელობამ ჩერნიშევსკი გადაჰკარგა იაკუტსკის გუბერნიაში სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ, სადაც შემაძრწუნებელ და დამპყრობელ მარტოობაში მან 12 წელი გაატარა (1883 წლამდე). ამის შემდეგ მას ნება დაერთო ეცხოვრა ასტრახანში, ისევ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. მხოლოდ 1889 წელს დართეს ჩერნიშევსკის ნება დაბრუნებულიყო საცხოვრებლად მშობლიურ სარატოვში, მაგრამ ამის შემდეგ დიდ რევოლუციონერს დიდხანს არ უცხოვრია, იგი იმავე წლის 29 ოქტომბერს გარდაიცვალა.

მიუხედავად სასტიკი დევნა-შეეწეროებისა, ჩერნიშევსკი თავისი პოლიტიკური რწმენისა და ფილოსოფიურ შეხედულებათა ბოლომდე ერთგული დარჩა. იგი იყო რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სახელოვანი წინამბრძოლი. „ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში 1941 წლის 6 ნოემბერს ჩერნიშევსკი იმ ადამიანთა რიცხვს მიაკუთვნა, რომელთა ხსოვნას წმიდად ინახავს საბჭოთა ხალხი.

გ. სიხარულიძე

ბავშვთა თვითშემოქმედების მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები

ბავშვთა თვითშემოქმედების მესამე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარდა თბილისში, მონაწილეობა მიიღო საქართველოს 51 რაიონისა და ქალაქის, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის 3.500 მოსწავლემ. ოლიმპიადა წარმოადგენდა მოსწავლეთა ნიჭისა და შემოქმედებითი ინიციატივის ფართო საზოგადოებრივ დათვალიერებას. მან გვიჩვენა, თუ რა დიდ მუშაობას ეწევიან სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები ბავშვთა მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის და შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისა და ტექნიკური ცოდნისადმი სიყვარულის დანერგვისათვის.

ოლიმპიადა ჩატარდა მაღალ იდეურ და მხატვრულ-პედაგოგიურ დონეზე. მან ცხადყო სკოლების მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სერიოზული გამოცოცხლება.

ჟიურის გადაწყვეტილებით ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებული არიან შემდეგი კოლექტივები, (ცალკეული მოსწავლეები და ხელმძღვანელები):

1. მხატვრული თვითშემოქმედების დარგში
(სიმღერა, მუსიკა, ცეკვა, მხატვრული კითხვა, ინსცენირება, მხატვრული ტანვარჯიში)

კოლექტივთა შორის პირველი პრემია მიეკუთვნა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქ. ქუთაისის, გორის რაიონის და ქ. თბილისის მოსწავლეთა კოლექტივებს, მეორე პრემია — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ფოთის, ქ. ჭიათურის, მახარაძის, ტყიბულის, თელავის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ონის, ზესტაფონის, ხაშურის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, ოზურგეთის სკოლების კოლექტივებს; მესამე პრემია — ლანჩხუთის, წულუკიძის, ცხაკაიას, აბაშის, სიღნაღის, ბოლნისის, ვანის, ხაშურის, ზესტაფონის, ამბროლაურის, მცხეთის, ქუთაისის, სამტრედიის რაიონების, კოლექტივებს; თბილისის სკოლის № 7 საბავშვო სახლის და ბაქურიანის საბავშვო სახლის მოსწავლეთა კოლექტივებს.

ინდივიდუალურ შემსრულებლებსა და ხელმძღვანელებს შორის პირველი პრემია მიეკუთვნა 45 ბავშვს, მათ შორის: სიმღერაში — მიშველაძეს ზ. ზორავას, ც. კახიძეს, დ. ჯოტოვას, დ. მოლაჩოვას (აფხაზეთის ასსრ), მ. ჭოლაძეს, მ. ჟღენტს, შ. გელაშვილს (თბილისი), ცეკვაში — ო. ცერეთელს, ბ. სურმავას, რ. ვანაძეს, ბ. ინასარიძეს (აჭარის ასსრ), რ. ბრეგაძეს, ს. ცისკარიშვილს (თბილისი), ბ. გოროზიას, ლომთათიძეს, ი. ზედაგინიძეს (ქუთაისი), დეკლამაციაში — ლ. ბოლქვაძეს (აჭარის ასსრ), მხატვრულ ტანვარჯიშში — დონდუას (სამტრედიის რაიონი), ს. ფოცხვერაშვილს

2. სამეცნიერო-ტექნიკური თვითშემოქმედებისა და სახვითი ხელოვნების დარგში

დაწესებულებათა შორის პირველი პრემია მიეკუთვნა თბილისის პიონერთა სასახლის, თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის და თბილისის ვაჟთა მე-13 საშუალო სკოლის ფიზიკის წრეს; მეორე პრემია — დაჯილდოებული არიან ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური (და გორის) თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური.

ნორჩ კონსტრუქტორთა შორის პირველი პრემია მიეკუთვნა ქ. თბილისის მე-11 სკოლის მოსწავლე ა. მანჯავიძის მიერ დამზადებულ მოდელს, თბილისის მე-4 სკოლის მოსწავლეთა ჯგუფს.

ამასთან დაჯილდოებული არიან თბილისის მე-5 სკოლის მოსწავლე შ. რუხაძე, ხონის საშუალო სკოლის მოსწავლეები, თბილისის ვაჟთა მე-20 სკოლის მოსწავლე ა. მაღლაფერიძე. სულ 9 ბავშვს; მეორე პრემია მიეკუთვნა 10 ნორჩ კონსტრუქტორს, მესამე — 4 ნორჩ კონსტრუქტორს.

3. სახვითი თვითშემოქმედების დარგში

დაწესებულებათა შორის პირველი პრემია მიეკუთვნა თბილისის პირველ საბავშვო სამხატვრო სკოლას და მოსწავლეთა სასახლის ხაზვისა და ფერწერის წრეს.

ნორჩ მხატვართა და მოქანდაკეთა შორის პირველი პრემია მიენიჭა თბილისის რუსთაველის სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე შ. მურვანიძეს ნახატისათვის „ბიუროკრატი 1905 წლის დეკემბერში“, თბილისის რუსთაველის მე-7 სკოლის მოსწავლე ა. სარიშვილის და ზოგ სხვათა ნამუშევრებს. ნახატებს, აგრეთვე 12 ნორჩ მხატვარს და 10 მოქანდაკეს; მეორე პრემია მიიღო 7 კაცმა.

გარდა ამისა, ჟიურიმ აღნიშნა და ოლიმპიადის სიგელებით დააჯილდოვა მთელი რიგი მოსწავლეები, მათ შორის ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის მიერ დამზადებული ნახატები, ქუთაისის მოსწავლე ჯიბლაძის მიერ დამზადებული რადიო-მიმღები, თბილისის ...ლის, ფანჩულიძის მიერ დამზადებული სამარშრუტო გეოგრაფიული რუკა „თბილისი-ძაუჯიკაუ“, აგრეთვე თბილისის მოსწავლეთა ჯგუფის მუშაობა, რომლებმაც დაამზადეს ფუნიკულიორის მაკეტი. (საქინფორმი).

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

ყველგან როდი არიან მზად

ლიხაურის საშუალო სკოლა უკვე მზად არის ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის. შეკეთებულია ყველა სასწავლო ოთახი, შეძენილია 80 მერხი, თერთმეტი სკამი, სასკოლო მაგიდები და სხვა ინვენტარი. სკოლის ფიზიკა-ქიმიის კაბინეტმა შეიძინა 4.000 მანეთის ხელსაწყოები. წინათ სიღარიბე იყო სკოლაში. წელს კი ორი სასკოლო ოთახი მოეწყო.

სკოლის მახლობლად დარგეს ნერგები, შემოაკავეს სასკოლო ნაკვეთი. სკოლა ნაკლებად არის უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად ემზადება ბაღდადის საშუალო სკოლა. მან დიდი დახმარება გაუწია ქვეყნის ბიბლიოთეკის კოლექტივს (თამარ ბაღდადის). კოლმეურნეობამ სკოლისათვის მოამზადა 2.000 ცალი აგური, გამოყო მონიტორი; ამონთარმა შ. სოზიამ, ჩამოიტანეს ორი ახალი საკლასო ოთახის მშენებლობის მასალა.

ლეთიების, ქელიდელების, შრომის სოფლებისა და ხეობებში დაწყებითი სკოლები მზადაა შეკეთებული.

ამბროლაურის რაიონში არიან სკოლები, რომლებიც ახალი სასწავლო წლისათვის სამზადისს ჯეროვნად არ განიცდიან.

სადმელის საშუალო სკოლის (დირექტორი ქ. მაქარაშვილი) სასწავლო ოთახები მოუწესრიგებელია, 5 საკლასო ოთახს რემონტი ესაჭიროება, იატაკი დაზიანებულია, 22 მერხი, 5 ცალი მაგიდა და სხვ., მაგრამ ამ საქმეზე არავინ ფიქრობს. სკოლის 14 კლასი ტერი ხის მასალა არის უნდა დამიმინდეს.

სკოლის დირექტორმა კოლმეურნეობებს ვერ მოსთხოვა დახმარება, მაგრამ ჩაუტარებელი დაიწყებიან ... სხვაგან სამშენებლო სკოლის (დირექტორი შ. გიბნი) 10 საკლასო ოთახი ჯერ შეუკეთებელია, 10 ახალი სკამი, თაროები, სახელმძღვანელოები 2.000 ცალი აგური, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუწყიათ მშენებლობა.

რემონტი ესაჭიროება აგრეთვე ბოგოლადის დაწყებითი და ზნაკვის საშუალო სკოლებს, მაგრამ ჯეროვნად ამათ ჯერ არავინ ფიქრობს. სოფლის მრეწველობის ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმე არ არის და ბოლოს შეუწყობილია.

ცუდად მოეწყობის ამბროლაურის საშუალო სკოლა. მიუხედავად იმისა, რომ ამ წლისთვის მეტია, რაც ამ სკოლის რემონტზე ფიქრობენ, ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა. სასკოლო შენობა ძალზე შელახულია და გადახურვა საჭიროებს. ამბროლაურის რაიონში ნაკლები დააყოვნებენ ახალი სასკოლო შენობების მშენებლობას.

ორი ცეხი და სამზარეულო გაკეთებულია, კიდეც ფაქტია, რომ ერთ წელში მიწა არ არის, მთავარია კოლექტივმა სასწრაფოდ მოიმეგობროს რაიონული ორგანიზაციები ცოცხლების და მომზადების შემდეგ ახალი სასწავლო წელი.

ა. გუჯაბიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მხოლოდ ერთი თვე დარჩა

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ახალქალაქის რაიონის ზოგიერთი სკოლა ჩამორჩება.

სოფელ ფერსის დაწყებითი სკოლის შენობა კოლმეურნეობის კანტორად გამოიყენება. ამის გამო შენობა შეეფერება სხვა შენობაში. ამ მიზეზის გამო სასკოლო ოთახის რემონტი არ ჩატარებულა. რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ფ. ოლიოვაძემ, სასწავლო ნაწილის გამგემ ანგარიშს გადაცემა ჯერ არ ჩაუთვალა.

სოფელ წყორდის დაწყებითი სკოლის შენობა კრავი ბინებად გადაკეთებულა. ეზოსთან ერთად სკოლისათვის სხვა ბინა უნდა გამოიყოს, მაგრამ ამაზე კი არავის ფიქრობს.

უარესი მდგომარეობაა ახალი სასკოლო შენობების მშენებლობის საქმეში.

სოფელ საძელში გასულ წელს დაიწყეს 8-წლიანი სკოლის შენობის მშენებლობა, მუშაობა ამ ზაფხულს ვერ დამთავრდა. ახლა კი მშენებლობა საერთოდ შეწყვეტილია.

მჯავრი ფაქტები აქვს ადგილი სოფელ კოთელიაში. შემოსავლის სრულიად შეუწყობლობის სკოლის შენობა ჯერ არ არის აშენებული. ახლა კი იგი ფიქრობს, ეხლა ამ სოფელში მაშინ მოვა, ოქტომბრამდე ორი კლასი. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლისთვის მხოლოდ ერთი თვე დარჩა. რაიონის ხელმძღვანელებმა აღნიშნულ ფაქტებს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ნ. ფარჯანაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. (საქინფორმი). დაპატიმრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ფოსტერმა და გენერალურმა მდივანმა დენისმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცეს კომპარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება. ამ განცხადებაში, რომელიც გაზეთ „დეილი უორკერში“ გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„სულ რამდენიმე თვის წინათ იუსტიციის მინისტრი კლარკი იძულებული გახდა ელიოტ-ბინა წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიაში, რომ მას სრულიად არ მოეპოვება რაიმე მამხილებელი საბუთი იმისა, რომ კომუნისტებს ბრალად დასდონ ძალისა და ძალადობის გამოყენება ან რომელიმე უცხო სახელმწიფოსადმი სამსახური. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში მომხდარი ამბები, აგრეთვე ისტორია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სპეციალური კომისიისა, რომელმაც, როგორც ამბობენ, მხარი დაუჭირა კომუნისტებისათვის წარდგენილ საბრალდებო აქტს, უეჭველს ხდიან, თუ ვინ არის ნამდვილი დამნაშავე და რა ხასიათისაა მათი დანაშაული. ამერიკელ ხალხს ამჟამად შეუძლია დაინახოს, თუ რა საშინელ პროვოკაციას აწყობს ტრუმენი, რომელიც ყველა ღონისძიებით ცდილობს გამარჯვება მოიპოვოს არჩევნებში.

როგორც ნიუ-იორკის გაზეთმა „სანმა“ აშკარად განაცხადა, კომუნისტების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება, რის ცნობაც გამოქვეყნდა, წარდგენილია ისეთ მომენტში, რათა ძნელ მდგომარეობაში ჩააყენონ ახალი სახალხო პარტია, რომელიც ამჟამად თავის დამფუძნებელ ყრილობას იწვევს ფილადელფიაში. დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა, რომელიც დააშინა უოლესისა და ტეილორის კანდიდატურებისათვის მზარდმა მხარდაჭერამ, ცდილობს ცილი დასწამოს ახალ პარტიას, როგორც დანაშაულებრივს, რადგან უოლ-სტრიტის ორი ძველი პარტიის მოწინააღმდეგეთა და მათ მიერ წამოყენებულ კანდიდატთა შორის არიან კომუნისტები, რომლებიც ყველა სხვა პროგრესულ ძალასთან ერთად მხარს უჭერენ ახალ, ომის მოწინააღმდეგე სახალხო პარტიას

რაიხსტაგისათვის ცეცხლის გაჩენის ეს ამერიკული ვერსია წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში დანაშაულებრივ ორპარტიულ ცდას—ბერლინში წარმოებული ცივი ომი აშკარა ომად გადააქციონ. ივი ამ მიზნისათვის გამოყენებულ იქნება კონგრესის სპეციალურ სესიაზე, აგრეთვე იმ პარტიული მიზნების შემდგომი განხორციელებისათვის, რასაც სესია ისახავს იმ ცდებით, რომ ნაჩქარევად გაიყვანოს კონგრესში მუნდტ-ფერგიუსონის კანონპროექტი. სწორედ ამ ავბედითი მიზნებისათვის პრეზიდენტი, რომელიც არავის სურს პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატად დაინახოს, ცდილობს განტევების ვერძად გამოიყენოს კომპარტია—თანმიმდევრული მებრძოლი ომის ორ—პარტიულ გამჩაღებელთა და ფაშისტთა წინააღმდეგ. კომპარტია, მისი ლიდერები და წევრები მუდამ ემსახურებოდნენ ჩვენი ქვეყნის ნამდვილ ინტერესებს. ისინი იცავენ და მუდამ იცავდნენ ამერიკელი ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობასა და დემოკრატიულ უფლებებს. მსგავსად იმ კომუნისტებისა, რომლებიც წარსდგნენ თავიანთ ნაცისტ ბრალმდებელთა წინაშე რაიხსტაგში მომხდარი ხანძრის შემდეგ, ჩვენ ბრალსა ვდებთ ჩვენს ბრალმდებელთ, რომ ისინი ღალატობენ ეროვნულ ინტერესებს მსხვილი ტრესტების სასარგებლოდ და ისწრაფვიან მოსპონ ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტები და ფაშისტური დიქტატურით შესცვალონ ისინი. ყველაფერი, რაც ცნობილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სპეციალური კომისიის ისტორიის შესახებ, კომისიისა, რომელმაც, როგორც იუწყებიან, მხარი დაუჭირა ამ საბრალდებო აქტებს, ადასტურებს ჩვენ მიერ წაყენებულ ბრალდებას. მთელი წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტრო ულტრა-რეაქციულ პრესაში ათავსებდა აშკარა მონაჭორს, თითქოს იგი აწარმოებს „გიგანტური „ჯაშუშური შეთქმულების“ გამოკვლევას. იმ საიდუმლოების უზრუნველყოფის სრული უგულებელყოფით, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნდა უზრუნველეყო უდანაშაულო პირთათვის, ამ ცნობებში, რომლებიც იუსტიციის სამინისტროდან „გამოდიოდა“, გადაკვრით იყო აღნიშნული ბნელ დანაშაულებათა ჩადენა, რომლებიც გამოიხატა შპიონაჟით, და თითქმის აშკარად ასახელებდნენ იმათ, ვისზედაც თითქოს ეჭვი იყო მიტანილი. პერიოდულად იუწყებოდნენ, რომ ნაფიც მსაჯულთ სასამართლო მხარს უჭერდა საბრალდებო აქტებს. უკანასკნელ ხანს ყველაზე ხშირად ამტკიცებდნენ რომ „სამწუხაროდ“, ნაფიც მსაჯულთა ერთი წლის შრომას არ მოუცია რაიმე დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ არსებობს „ჯაშუშური შეთქმულება“, რასაც რამდენიმე ეჭვი გარკვეულობას შეიტანდა. უეჭველია, ამ შეთხზული საგაზეთო ცნობების მიზანი ის იყო, რომ გავლენა მოეხდინა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე და ამავე დროს საყოველთაო ისტერიის ვითარება შეექმნა. თუ ამჟამად მხარს უჭერენ მთელი რიგი კომუნისტების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, ამერიკელ ხალხს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს ახალი მონაჭორი „მეორე უკეთესი“ ბრალდებაა „ჯაშუშურ შეთქმულებაში“, რადგან პირველი ბრალდება უსაფუძვლო აღმოჩნდა.

კომუნისტური პარტია, რომელიც განუხრელად მოქმედებს ამერიკელი მუშებისა და ხალხის სასარგებლოდ, მოუწოდებს მათ წინააღმდეგობა გაუწიონ ყველა პანიკურ განწყობილებას და ცხადჰყონ თავიანთი სიმტკიცე ამ ფაშისტური პროვოკაციის მიმართ. ისევე, როგორც ისინი სენატში იბრძოდნენ მუნდტის კანონპროექტის წინააღმდეგ, მათ ამჟამად კვლავ უნდა მოიგერიონ უფლებათა ბილის წინააღმდეგ ეს ახალი შეტევა. მუშათა და პროგრესული ძალები არ უნდა დაელოდონ კონგრესის მოწვევას, რათა ფართო მასობრივი მოქმედება დაიწყონ, რომელიც კონგრესის სპეციალურ სესიაზე ორპარტიული პოლიტიკის პომხრეთ ყურს დააგდებინებს ხალხის ხმისათვის. არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ ამ სპეციალური სესიის დღეებში შეეცდებიან გაიყვანონ მუნდტის კანონპროექტი. მაშინ, როცა სამოქალაქო უფლებათა საკითხის მთელი კანონმდებლობა დაბრკოლებას აწყდება კონგრესში, სასამართლოებში და უწინარეს ყოვლისა აწყდება საზოგადოებრივი აზრისაკენ მიმავალ გზაზე ილმართულ ზღუდეს, ჩვენ, კომუნისტები, მტკიცედ განვახორციელებთ ჩვენს საქმეს, რომელიც მიმართულია პროფაშისტების და ომისგამჩაღებელთა წინააღმდეგ რესპუბლიკურ პარტიასა და ტრუმენის მთავრობაში. ჩვენ მოვუწოდებთ დემოკრატიულად განწყობილ მუშებსა და ხალხს, რომლებიც მშვიდობისაკენ ისწრაფვიან თავიანთი პროფკავშირებისა და მასობრივი ორგანიზაციების მეშვეობით შემოგვიერთდნენ, რათა ვამხილოთ ეს ფაშისტური პროვოკაცია და პასუხი ვაგებინოთ მათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ პროვოკაციაში“.

როგორც იუწყებიან, გარდა კომპარტიის შვიდი ლიდერისა, რომლებიც უკვე დაპატიმრებული არიან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ბრალდება წაუყენებია აგრეთვე კომპარტიის ეროვნული კომიტეტის 5 სხვა წევრისათვის, რომელთა დაპატიმრებასაც მოელიან. მათ შორის არიან საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი ბეწვეულის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის ხელმძღვანელი ირვინგ პოტაში, გაზეთ „დეილი უორკერის“ რედაქტორი ჯონ ჰეიტსი, ნიუ-იორკის შტატის კომპარტიის თავმჯდომარე რობერტ ტომპსონი, ჩიკაგოს კომპარტიის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ჯილბერტ გრინი და ოჰაიოს შტატის კომპარტიის თავმჯდომარე გას ჰოლი. როგორც გადმოგვცემენ, დაპატიმრებულთ ბრალს სდებენ ორი მუხლით: ჯერ-ერთი, მათ ბრალდებათ სმიტის კანონის დარღვევა, რაც თითქოს გამოიხატა „კომპარტიის შეთქმულებაში“ მონაწილეობით, რომელიც მიზნად ისახავს მთავრობის დამხობას, აგრეთვე ის, რომ ისინი მხარს უჭერენ მთავრობის ძალით დამხობას. საბრალდებო აქტის მე-2 მუხლი მათ ბრალად სდებს, რომ ისინი კომპარტიის წევრები არიან 1945 წლის 26 ივნისიდან, და ამ მუხლში ნათქვამია, რომ კომპარტია მთავრობის დამხობის მომხრეა.

დაპატიმრების შემდეგ ფოსტერი, დენისი, ვილიამსონი, უინსტონი და სტაჰელი გამოკვლევის ფედერალური ბიუროს აგენტებმა გადასცეს ფედერალური ოლქის სასამართლოს, სადაც ფედერალურმა მოსამართლემ ლეიბელმა დაადგინა, რომ დაპატიმრებულნი შეიძლება თავდებით გაუშვან, თუ თვითეული მათგანი ხუთი ათას დოლარ საწინდარს შეიტანს; ლეიბელმა დაპატიმრებულთათვის დააწესა 30 დღის ვადა—23 აგვისტომდე; ამ ვადაში მათ უნდა წარმოადგინონ დამცველები და იმავე დროს მოსამართლემ ბრძანება გასცა დაპატიმრებული იყოლიეთ საწინდრის გადახდამდე.

დამცველმა ანჯერმა განაცხადა, „ამ ბრალდებათა აღმაშფოთებელი ხასიათი“ სასამართლოსთვის აშკარა უნდა იყოსო, და მოითხოვა, რომ მოსამართლეს დაპატიმრებულნი პატიოსანი სიტყვის საფუძველზე გაეთავისუფლებინა საწინდრის გადაუხდელად. ცოტა ხნის დავის შემდეგ მოსამართლე ბოლოს დათანხმდა ექვსი პატიმარი გაეთავისუფლებინა ანჯერის პასუხისმგებლობით, თუ ისინი 21 ივლისს გამოცხადდებიან სასამართლოში საწინდრის შესატანად.

მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების საზოგადოებრივი დათვალიერება

25 ივნისიდან 30 ივნისამდე თბილისში ჩატარდა ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედების მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადა. საქართველოს სკოლების მოსწავლეებმა დედაქალაქის ფართო საზოგადოებრიობას უჩვენეს თავიანთი წარმატებანი მხატვრული თვითშემოქმედების დარგში.

1947-48 სასწავლო წლის შედეგები აშკარად მეტყველებენ იმ მნიშვნელოვან წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისა და იდეურ-პოლიტიკური მომზადების დარგში.

სწორედ ამიტომ, სასწავლო წელში ჩატარებული დაძაბული მუშაობის შემდეგ, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედების ნიმუშების დემონსტრირება და ბავშვთა მხატვრული აღზრდის მიღწევების ჩვენება.

ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა საქართველოში მესამედ ჩატარდა. ოლიმპიადაში 3.500-მდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. ეს დიდი მნიშვნელობის მქონე მასობრივი ღონისძიება სკოლებში ჩატარებული თანმიმდევრული მუშაობის შეჯამებას წარმოადგენდა. ადგილებზე 100 ათასამდე ბავშვი იყო ჩაბმული ოლიმპიადაში.

ექვსი დღის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მოსწავლეები დედაქალაქის საზოგადოებრიობას უჩვენებდნენ თავიანთი მხატვრული თვითშემოქმედების ნიმუშებს.

ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იყვნენ სასკოლო და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივები—გუნდები, ინსტრუმენტალური ანსამბლები, ქორეოგრაფიული, მხატვრული კითხვის, მხატვრული ტანვარჯიშის, სახვითი ხელოვნების, სამეცნიერო-ტექნიკური წრეები და ცალკეული შემსრულებლები. მონაწილეობდა 51 რაიონისა და ქალაქის 54 კოლექტივი და მრავალი ინდივიდუალური შემსრულებელი.

გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი ოლიმპიადა, წინა წლების ოლიმპიადასთან შედარებით, როგორც იდეურად, ისე პედაგოგიური და მხატვრული თვალსაზრისით, მაღალ დონეზე იდგა.

ზოგიერთი მხატვრული კოლექტივი გამოვიდა დედაენის, როგორც ცოდნის წყაროს, მნიშვნელობის დემონსტრაციით (თბილისის, აჭარის, გორისა და წალენჯიხის კოლექტივები). ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან აჭარის ასს რესპუბლიკისა და გორის რაიონის მოსწავლეთა კოლექტივები.

თუ ტყიბულისა და ჭიათურის ბავშვები ქვანახშირისა და მარგანეცის მაღაროელთა შრომით ენთუზიაზმზე მოგვითხრობდნენ, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონების ახალგაზრდებმა მხატვრულ ფორმებში გვიჩვენეს ჩაისა, ციტრუსებსა და სიმინდთან დაკავშირებული შრომითი პროცესები. თელავისა და ყვარლის რაიონების ბავშვები სევდიანი „ურმულის“ ფონზე რევოლუციამდელი კახეთის გლეხის დუხჭირ ყოფაზე გვიამბობდნენ, ხოლო წარმტაც სურათებსა და შრომით სიმღერებში გადმოგვცემდნენ ახალი, ბარაქიანი კახეთის ბედნიერ ცხოვრებას. განახლებული ფოთის ბავშვები მეზღვაურთა ხალისიან ჰანგებზე აყვავებული კოლხიდის ნარინჯოვან ველებს უმღეროდნენ.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქუთაისისა და გორის რაიონის კოლექტივები ოლიმპიადაზე იდეურად გამართული მხატვრული მონტაჟებით წარსდგნენ.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მრავალრიცხოვან მაყურებელზე მზიური აჭარის ბავშვთა მწყობრმა, ორგანიზებულმა გამოსვლამ.

ახალი ინდუსტრიული ქალაქის ლამაზად შესრულებული ხედი ჩამოუტანეს თბილისელ მაყურებელს ქუთაისელმა ბავშვებმა. მათ ხედის ფონზე შეასრულეს ცეკვა-სიმღერები, რომლებიც განახლებული ქუთაისის ახალ ცხოვრებას ასახავდნენ.

თეთრი გედებივით დასრიალებდნენ სცენაზე სამხრეთ ოსეთის მოცეკვავე გოგონები, რომელთაც დიდი ოსტატობით შეასრულეს კოლორიტული ოსური ცეკვები.

ოლიმპიადის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ბავშვთა სახვითი ხელოვნებისა და ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშები, აგრეთვე ბავშვების მიერ დამზადებული მატარებლისა და ტრამვაის მაკეტები, თვითმფრინავის მოდელები, მოქმედი რადიომიმღებები, ელექტროსაათები და სხვა მრავალი ნიმუში, რაც ადასტურებს იმ დიდ მუშაობას, რომელსაც ამ დარგში ბავშვთა ტექნიკური სადგურები და პიონერთა სასახლის ტექნიკური განყოფილება ეწევიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიადის მომზადებასა და ჩატარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა.

თუ 1946 წელს ჩატარებული ოლიმპიადის შედეგად პირველი პრემია მხოლოდ სამ კოლექტივს ხვდა, ხოლო ინდივიდუალურად 115 ბავშვი იქნა დაჯილდოებული, მიმდინარე წლის ოლიმპიადის ჟიურიმ 5 კოლექტივს მიანიჭა პირველი ხარისხის პრემია, ხოლო 176 ბავშვი ინდივიდუალურად იქნა დაჯილდოებული, ამათგან 122 ბავშვი მხატვრული თვითშემოქმედების, ხოლო 53 სამეცნიერო-ტექნიკური თვითშემოქმედებისა და სახვითი ხელოვნების დარგში. ეს მაჩვენებლებიც ოლიმპიადის ხარისხობრივ ზრდაზე მეტყველებენ.

მაგრამ ოლიმპიადას მიღწევებთან ერთად ზოგი მნიშვნელოვანი ნაკლიც ახასიათებდა. ზოგი რაიონის მოსწავლეები (ახალციხის, ბოგდანოვკის, ქლუხორის, მარნეულის, გარდაბნის, ხობის) სრულიად არ გამოცხადებულან ოლიმპიადაზე, ხოლო ლაგოდეხის, დმანისის, წალკის, რუსთავის სკოლების მოსწავლეები ჩამოვიდნენ უგემოვნო, უფერული და დაბალი მხატვრული დონის პროგრამით და წინასწარი გასინჯვის შემდეგ დაშვებული არ იქნენ ოლიმპიადაზე. ქარელის, ჩხოროწყუს, კაჰრეთის, საგარეჯოს, თიანეთისა და ასპინძის რაიონების კოლექტივებს, დაბალი მხატვრული ღირებულების მქონე რეპერტუარის გამო, ოლიმპიადაზე წარუმატებლობა ხვდათ წილად.

ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის განათლების ორგანოებმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დროულად ვერ გაშალეს მუშაობა ბავშვთა მდიდარი შემოქმედებითი შესაძლებლობის გამოვლინებისა და განვითარებისათვის.

სუსტად იყო წარმოდგენილი მხატვრული პროზა, რაც წინა ოლიმპიადის შედეგებშიც აღინიშნა. უმნიშვნელო რაოდენობით იყო აგრეთვე წარმოდგენილი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალები და ბავშვთა ლიტერატურული შემოქმედების ნიმუშები (ლექსები, პოემები, მოთხრობები).

ეს ნაკლოვანებანი ამთავითვე უნდა გაითვალისწინონ სკოლებმა და განათლების ორგანოებმა, მომავალ მუშაობაში გამოიყენონ სამი წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება.

ბავშვთა თვითშემოქმედების მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის მნიშვნელოვანი წარმატება იმის შედეგია, რომ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებული მზრუნველობით, ყურადღებითა და გულისხმიერებით ეპყრობიან ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას.

იმ საზეიმო დღეებში, როდესაც ყოველი კუთხის სკოლების მოსწავლეები თავიანთი თვითშემოქმედების მრავალფეროვანი ნიმუშებით გამოდიოდნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე, თვითეული ბავშვის გული განსაკუთრებული მადლობისა და პატივისცემის გრძნობით იყო აღსავსე მშობლიური საბჭოთა მთავრობისადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, ბავშვებისათვის გულისხმიერი მზრუნველისა და მეგობრის დიდი სტალინისადმი.

მ. ბურჭულაძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

დასავლეთი ზონების მინისტრები ფულის სეპარატული რეფორმის კატასტროფული შედეგების შესახებ

ბერლინი, 22 ივლისი. (საქინფორმი). როგორც გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის“ კორესპონდენტი მიუნხენიდან იუწყება, ბავარიის პრემიერ-მინისტრმა ჰანს ეჰარდმა და მისმა მოადგილემ იოზეფ მიულერმა ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციას მიმართეს წერილით, რომელშიც საოკუპაციო ხელისუფალთა ყურადღებას მიაპყრობენ გერმანიის დასავლეთ ზონებში საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ გატარებული ფულის სეპარატული რეფორმის კატასტროფულ შედეგებს. ფულის რეფორმის კანონის პირობებმა აუტანელი მდგომარეობა შექმნეს და აშკარა საფრთხეს წარმოადგენენ მთელი სახელმწიფოებრივი სისტემისათვის. მინისტრები შეამდგომლობენ, რომ კანონის ზოგიერთი დებულება შეიცვალოს.

ბავარიის ფინანსთა მინისტრმა ჰანს კრაუსმა საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ, პანიკის წარმოშობის შიშით, მას განზრახული აქვს საზოგადოებრიობის წინაშე გამოვიდეს განცხადებით ნამდვილი საფინანსო მდგომარეობის შესახებ. მისი სიტყვით, გამოურკვეველია, რა სახსრებით უნდა დაიფაროს დეფიციტი კვარტალის ბოლოს. საოკუპაციო ხარჯები და ფრანკფურტისადმი სუბსიდიები ბავარიის ძალღონეს აღემატება. საშემოსავლო გადასახადის გადიდების გზით მდგომარეობიდან გამოსვლა ამჟამად შეუძლებელია.

შემდეგ გაზეთი სწერს: „ბავარიის შრომის მინისტრის თვიურ ანგარიშში ნათქვამია, რომ მუშებში „შეშფოთება მატულობს“. ფულის სეპარატული რეფორმის შედეგებმა უწინარეს ყოვლისა გავლენა იქონია მცირე და საშუალო საწარმოებზე. 6 ივლისისათვის ბავარიაში 180 ათასი უმუშევარი ითვლებოდა.

ბადენ-ბადენიდან იუწყებიან, რომ შექმნილი სიტუაცია საფრანგეთის ზონის მხარეთა სამმა მეურნეობის მინისტრმა მათ მიერ შედგენილ კომუნიკეში დაახასიათა როგორც უიმედოდ მძიმე.

ადენის სააგენტო კილიდან გადმოგვცემს: „გერმანელ მოსამსახურეთა კავშირის საპროტესტო მიტინგზე კილში ფინანსთა მინისტრმა დოქტორმა შენკმა განაცხადა, რომ 1 სექტემბერს შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარე ფულის გაცემას სწყვეტს. ბიუჯეტის მდგომარეობა ისეთია, რომ მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის მისაცემად ერთი პფენიგიც არ მოიპოვება. მხარეს ისღა დარჩენია, რომ თავი გაკოტრებულად გამოაცხადოს“.

ხელმოწერილია სავაჭრო შეთანხმება ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის საბჭოთა ზონას შორის

პრაღა, 22 ივლისი. (საქინფორმი). იუგოსლავიის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ გუშინ ბერლინში საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ და ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისიის მეთაურმა ბერლინში გენერალმა დასტიხმა ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც 18,5 მილიონი დოლარის საქონლის გაცვლა-გამოცვლას ითვალისწინებს ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის საბჭოთა ზონას შორის. ახალი შეთანხმების მიხედვით, რომელიც ძალაში იქნება 1949 წლის 30 ივნისამდე, იმ საქონელთა სია, რომლებსაც ჩეხოსლოვაკია და გერმანიის საბჭოთა ზონა გაცვლიან, მნიშვნელოვნად ფართოვდება წინანდელ სავაჭრო შეთანხმებასთან შედარებით. ჩეხოსლოვაკია გერმანიიდან მიიღებს ნედლეულს, ქიმიური მრეწველობის პროდუქტებს, მანქანათა სათადარიგო ნაწილებს, მეტალურგიული პროდუქტებს და სხვ. ჩეხოსლოვაკია გერმანიაში გაგზავნის სხვადასხვა სპეციალური ხარისხის ქვანახშირს, სალტეებს, კაუჩუკს, საცობის ნაწარმს და სხვა საქონელს.

ღია წერილი

იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობისადმი

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ყველა კომუნისტისადმი

ბელგრადი.

ჩვენ, იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის წევრები—საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო აკადემიების, ოფიცერთა უმაღლესი სკოლების მსმენელები, სამხედრო სასწავლებელთა კურსანტები, დაწვრილებით შევისწავლეთ რა საინფორმაციო ბიუროს გადაწყვეტილებანი იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და გავეცანით რა იუგოსლავიის კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პასუხს ამ გადაწყვეტილებათა გამო, აგრეთვე იუგოსლავიის კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი ხელმძღვანელობის მოქმედების შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ სხვა მასალებს, მთლიანად ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციას, რომელიც ჩვენს პარტიას უჩვენებს ერთადერთ სწორ გზას იმ ჩიხიდან გამოსასვლელად, რომელშიც პარტია მოაქციეს ტიტომ, კარდელმა, ჯილასმა, რანკოვიჩმა და მათმა თანამოაზრეებმა.

ჩვენ კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებთ იმ მტრული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც […]

[…] ცისმის, რომ ახალი დემოკრატიული იუგოსლავიის წარმატებანი და აყვავება, მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა წარმოუდგენელია საბჭოთა კავშირის, მოძმე საკავშირო კ. პ. (ბ) და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მუდმივი დახმარების გარეშე. მხოლოდ სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების მხრივ დახმარება, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის დახმარება წარმოადგენს იუგოსლავიაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პირობას და საიმედო გარანტიას ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ჩვენი დამონების წინააღმდეგ.

შექმნილ პირობებში ჩვენს პარტიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დაუბრუნდეს კომუნისტური პარტიების ოჯახს, თუ აშკარად დაგმობს ტიტოს, კარდელის, ჯილასის, რანკოვიჩის ანტიპარტიულ და ანტიხალხურ პოლიტიკას და შეინარჩუნებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი ურყევ ერთგულებას.

ჩვენ მივმართავთ ყრილობის დელეგატებს, იუგოსლავიის ყველა კომუნისტს მოწოდებით—ალაგმონ ალვირახსნილი ხელმძღვანელები, მოსთხოვონ მათ, რომ პატიოსნად აღიარონ და გა- […]

[…] ვიჩი ღალატობენ ჩვენს სამშობლოს, ანგრევენ იუგოსლავიის ხალხების მიერ სსრ კავშირის აქტიური დახმარებით შექმნილ ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოს. თავიანთი მოღალატური მოქმედებით, ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებთან საზიზღარი ლაქუცით ისინი კავშირს სწყვეტენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ინტერესებთან და უქმნიან ჩვენს მტრებს იუგოსლავიაში კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლების აღდგენისა და იუგოსლავიის იმპერიალიზმის კოლონიად გადაქცევის იმედს.

ყოველ პატიოსან იუგოსლავს, რომელსაც მხურვალედ უყვარს თავისი სამშობლო, კარგად […]

[…] არ მისცემთ, საქმით შეცვალოთ ისინი და აირჩიოთ იუგოსლავიის კ. პ. ახალი ხელმძღვანელობა, რომელსაც უნარი ექნება გამოიყვანოს ჩვენი პარტია სწორ ლენინურ-სტალინურ გზაზე.

იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის წევრები:

ბლაჟო რასპოპოვიჩი, ვლასტიმირ მიხაილოვიჩი, ივანე კოსი, მილოვან კოვაჩევიჩი, მილორად სავიჩი, ჯიურო როგანოვიჩი, სტანჩე იანკოვი, რადოლიუბ პეროვიჩი, მიოდრაგ ვლახოვიჩი, რადო ჯურანოვიჩი, ჯურო ბუქსანოვიჩი, გაიო კუზმანოვიჩი, სტოიან დუვნიაკი, მილან სტანიშიჩი და სხვები, — სულ 240 ხელმოწერა.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ლიდერთა დაპატიმრების გამო

უოლესის განცხადება

ფილადელფია, 22 ივლისი. (ტასის სპეც. კორ.). პრესაში გამოსაქვეყნებლად გადაცემულ ოფიციალურ განცხადებაში პრეზიდენტობის კანდიდატმა მესამე პარტიისაგან უოლესმა […]

[…] ნოს ეს პრაქტიკა და მთელი ენერგიით დაიცვას სხვების უფლება — თავისუფლად ილაპარაკონ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად არ ეთანხმებიან იმათ შეხედულებებს, ვისაც ისი- […]

[…] ნენ, რომ ჩაეხშოთ პროტესტები ორპარტიულ ჯგუფ საგარეო პოლიტიკაში ახალ გადახვევათა წინააღმდეგ. მილიონობით ამერიკელმა უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ორპარტიული პოლიტიკის მომხრეებმა უარი სთქვეს დაეწყოთ რუსებთან ნამდვილი მოლაპარაკება არსებული უთანხმოების მშვიდობიანი მოგვარების მიზნით. ჩემის აზრით, ბრალდებანი წარმოადგენენ ახალი შიშის გამოწვევის ცდას. ისინი წარმოადგენენ ახალ დივერსიას, რომელიც გათვალისწინებულია იმისათვის, რომ სხვა მხრივ წარმართონ იმ ამერიკელთა ყურადღება, რომელნიც უკმაყოფილებას გამოსთქვამენ მზარდი ინფლაციის გამო, ბერლინისა და სხვა საკითხებში სულელური პოლიტიკის გამო. როგორც მთავრობა, ისე ორპარტიული კონგრესი იმისათვის აყენებენ ბრალდებებს, რომ გამოიწვიონ საგაზეთო სათაურების გამოქვეყნება, იწვევენ საგაზეთო სათაურებს, რათა აღძრან შიში, და აღძრავენ შიშს, რათა კვლავ დარჩნენ ხელისუფლების სათავეში. დემოკრატიული ამერიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეოგ- […]

[…] მოყენება აშკარად არღვევს კონსტიტუციის პირველ შესწორებას და ფეხქვეშ სთელავს სიტყვის თავისუფლების ამერიკულ უფლებას.

ამავე დროს ორპარტიული პოლიტიკის მომხრეები ხაზს გაუსვამენ ბრალდებათა, ჩვენებათა და სასამართლო პროცესთა სერიოზულობას, რათა შიში აღძრან. ახლანდელი ვითარება უკარნახებს მთავრობას შიში გამოიწვიოს კრიზისების განუწყვეტელი რიგით. ჩვენ შეგვიძლია მოველოდეთ შემდგომ დაშინებას წითელი საფრთხით და უმცირესობის სხვა ჯგუფებზე თავდასხმებს ისეთ ბრალდებათა საშუალებით, რომ მათი შეხედულება მთავრობისადმი მტრულია. პირადად მე მეტად მტრულად ვეკიდები მთავრობისა და ძველი პარტიების ბევრ ახლანდელ ლონისძიებას. წინასწარ ვხედავ, რომ კვლავ და კვლავ შეეცდებიან თავს დაესხან ახალ პარტიას ყოველგვარი ყალბი და წამქეზებელი ბრალდების შემწეობით. ახალი პარტია კვლავაც განაგრძობს ბრძოლას მთელი ამერიკელი ხალხის კონსტიტუციურ თავისუფლებათა დასაცავად".

ფინეთის სეიმის თავმჯდომარისა და სეიმის ფრაქციების თავმჯდომარეთა არჩევნები

[…] მე, ხოლო მეორე ვიცე-თავმჯდომარედ—კვლავ არჩეულია კუიალა (ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირი).

„ტუეკანსან სანომატ" ათავსებს ფინეთის დეპუტატთა ბიუროს ინფორმაციას, რომლის თანახმად სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს სეიმის თავმჯდომარის საკითხში მხარი დაუჭირონ აგრარიების კავშირის კანდიდატს, ხოლო […]

[…] თავმჯდომარედ არჩეულია პეკა კუუსინენი; სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციისა — ზავორპოლმი; აგრარული კავშირისა—იუკო კოივისტო; ეროვნულ-კოალიციური პარტიისა—აპმავაარა; შვედების სახალხო პარტიისა — ფოტერპოლმი; ეროვნულ-პროგრესული პარტიისა—კაუპა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს სესიაზე

ჟენევა, 20 ივლისი. (ტასი). გუშინ საღამოს ეკონომიური და სოციალური საბჭოს სესია იხილავდა დღის წესრიგის შემმუშავებელი კომიტეტის მოხსენებას. დისკუსიამ გამოააშკარავა მთელი რიგი დელეგაციების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის დელეგაციათა ტენდენცია დაარღვიონ ელემენტარული საპროცედურო წესები და არ განიხილონ დღის წესრიგის საკითხები. მათ მოითხოვეს, რომ დღის წესრიგის დამტკიცებამდე პლენარულ სხდომაზე წინასწარ განუხილველად გადაეცეს კომიტეტებს განსახილველად მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის მოხსენება რეპატრიაციისა და ადგილგადანაცვლებულ პირთა შესახებ, გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის შესახებ, კონფერენციის მოხსენება ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების შესახებ და სხვ.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა არუთინიანმა განაცხადა, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა დამტკიცდეს დღის წესრიგი და რომ იმ საკითხების განუსაზღვრელად, რომლებზეც საბჭო იმუშავებს, შეუძლებელია დაიწყოს ცალკეულ პრობლემათა კომიტეტების შექმნა. არუთინიანმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ დღის წესრიგის ძირითადი საკითხები მექანიკურად იქნას გადაცემული, პლენარულ სხდომაზე წინასწარ განუხილველად.

[…] ფედერაციის მიერ) ამოღების შესახებ, ჩილის დელეგატმა სანტა-კრუსმა სცადა უარეყო ბრალდება ჩილეში პროფკავშირების უფლებათა დარღვევის შესახებ. მისი სიტყვა ალსავსე იყო ცილისმწამებლური გამოსვლებით ჩილის პროფკავშირების წინააღმდეგ და შეიცავდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაზე თავდასხმებს. კრუსს მხარი დაუჭირა ბრაზილიის წარმომადგენელმა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა სტაინბაუერმა მხარი დაუჭირა პროფკავშირების უფლებათა დარღვევის საკითხის მოხსნას და იძულებითი შრომის საკითხის დღის წესრიგში დატოვებას.

ამ დელეგატებს საკადრისი პასუხი გასცა სსრ კავშირის წარმომადგენელმა არუთინიანმა. მან აღნიშნა, რომ წინა გამოსვლებში ამავე სხდომაზე ზოგიერთი დელეგატი ფარისევლურად მოუწოდებდა არ მიემართათ სესიაზე პოლიტიკური გამოსვლებისათვის, ხოლო ახლა იგივე ადამიანები ისეთ საკითხსაც კი, როგორიცაა დღის წესრიგის განხილვა, ცრუ პოლიტიკური პროპაგანდისათვის იყენებენ. „ის პირნი,—დასძინა არუთინიანმა,—რომელნიც მზად არიან ყველაფერი გააკეთონ, რაც კი შესაძლებელია, რათა […]

[…]

ფრანკფურტის კონფერენცია გადაიდო

ბერლინი, 21 ივლისი. (ტასი). მას შემდეგ, რაც 20 ივლისს სამი სამხედრო გუბერნატორი მაინის ფრანკფურტში შეხვდა დასავლეთ გერმანიის მხარეთა პრემიერ-მინისტრებს, გა- […]

ყველა კოლმეურნეობის გამგეობათა და მოქალაქეთა მეურნეობებისადმი

1948 წლის ივნის-ივლისის პერიოდში საქართ[…] ატარებენ სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევ[…] ბებსა და მოქალაქეთა მეურნეობებში ქალაქებსა […]

სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევას ექვემ[…]

1. კოლმეურნეობებში:

ა) შენობები, ინვენტარი, მოწყობილობა, სა[…] ნედლეული და მასალები,

ბ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესე[…] და ვენახების მოსავალი,

გ) სასოფლო-სამეურნეო ცხოველები,

დ) თევზსაჭერი გემები.

2. მოქალაქეთა მეურნეობებში სავალდებულო […] შემდეგი ქონება, რომელიც ეკუთვნის მათ პირ[…]

[…] საძლოა ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა სტიქიურ უბედურებათაგან, დაავადებისა და უბედურ შემთხვევათაგან.

კოლმეურნეობათა გამგეობები და მოქალაქეთა მეურნეობები ვალდებულნი არიან მიაწოდონ სახდაზღვევის ორგანოებს ზუსტი ცნობები იმ ქონების შესახებ, რაც ექვემდებარება სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევას.

საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველო

იტალიის სენატში

ტერაჩინის გამოსვლა

რომი, 22 ივლისი. (ტასი). იტალიის სენატში გრძელდება დისკუსია მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუციის გამო, რომელიც ოპოზიციამ შეიტანა ტოლიატიზე თავდასხმის შემდეგ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

გუშინ ამ რეზოლუციის დასაცავად და დასასაბუთებლად მკაფიო სიტყვა წარმოსთქვა სენატორმა ტერაჩინიმ (კომპარტია). მან გამოააშკარავა მანევრი მთავრობისა, რომელიც ცდი- […]

საპარლამენტო […] ის ამ თე- […] სხვის […] თავდასხმასთან […] ცდილობენ შესაფერად წარმართონ კვლევაძიება და წინასწარ გამოუცხადებენ ხელიდან ირავიი მაგისტრატურას, რათა დაცვან არა მარტო პალანტეს შთამაგონებელნი, არამედ მისი პირდაპირი თანამონაწილეც. ეს თანამონაწილენი ყველასთვის ცნობილი არიან. […]

[…] ზიომ და სარაგატელმა დ'არაგონამ, რომელსაც ოპოზიციის სენატორები სტვენით შეხვდნენ.

რომი, 22 ივლისი. (ტასი). დღეს საღამოს იტალიის სენატმა უარჰყო ტერაჩინის წინადადება დე გასპერის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ეს წინადადება, რომელიც შეტანილ იქნა ტოლიატიზე თავდასხმის შემდეგ, უარყოფილ იქნა 173 ხმით 83-ის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა).

ბულგარეთის მშრომელთა აღშფოთება ტოლიატიზე ავაზაკური თავდასხმის გამო

სოფია, 22 ივლისი. (ტასი). ბულგარეთის ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში გრძელდება მასობრივი პროტესტები იტალიის მუშათა კლასის ბელად პალმირო ტოლიატიზე ავაზაკური თავდასხმის წინააღმდეგ.

პერნიკის მეშახტეები თავიანთ რეზოლუციაში ძმურ თანაგრძნობას უცხადებენ იტალიის მუშათა კლასს და პირობას იძლევიან თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ ბულგარეთის მშრომელი ხალხის ბელადებს.

ცემენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები პროტესტს აცხადებენ ტოლიატიზე საზიზღარი თავდასხმის წინააღმდეგ და სიფხიზლისაკენ მოუწოდებენ მშრომელთ.

ბულგარეთ-საბჭოთა საზოგადოებების კავშირის 900 ათასი წევრი თავიანთ საპროტესტო რეზოლუციაში აცხადებს, რომ ტოლიატიზე თავდასხმა იტალიის რეაქციისა და მის ზურგში მდგომი ომის ორგანიზატორთა საქმეა. ეს საზიზღარი თავდასხმა მოწმობს რეაქციის სისუსტეს, რეაქციისა, რომელიც ცხოველურ შიშს განიცდის განუწყვეტლივ მზარდი დემოკრატიული ძალების წინაშე.

ტოკუდაზე თავდასხმის გამო

ტოკიო, 22 ივლისი (ტასი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, პარლამენტის წევრებმა კომუნისტური პარტიისაგან წერილობითი პროტესტი გაუგზავნეს მთავრობას იაპონიის კომპარტიის გენერალურ მდივან ტოკუდაზე თავდასხმის გამო.

იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა იოძირო კონომ პარტიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა:

„კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული მოქმედება მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის პოლიტიკური თავისუფლების და თავიანთი ორგანიზაციის შექმნის მუშათა უფლების ფაშისტურ დათრგუნვას მოწმობს. ჩვენ მოწოდებით მივმართავთ ხალხს იბრძოლოს ფაშისტთა ზრა- […]

[…] კუდაზე თავდასხმა ისეთივე ხასიათისაა, როგორც იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანზე ამას წინანდელი თავდასხმა და კიკუნამიზე (საწარმოთა პროფკავშირთა კონგრესის ყოფილი ხელმძღვანელი) თავდასხმა. საწარმოთა პროფკავშირთა კონგრესი თავის განცხადებაში ამტკიცებს, რომ ტოკუდაზე თავდასხმა მიაჩნიათ იაპონიაში ფაშისტური ელემენტების იაპონიის დემოკრატიულ მოძრაობის წინააღმდეგ შეტევად და რომ მთავრობამ პასუხი უნდა აგოს ამ თავდასხმისათვის.

ბევრმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ ანალოგიური განცხადება გააკეთა.

გაზეთ „აკაჰატას" ცნობით, იაპონიის გლეხთა კავშირის თავმჯდომარემ კისაო კუროდამ განაცხადა, რომ მას ძალადობის ასეთი რეაქციული აქტი ყოვლად შეუწყნარებლად მიაჩნია […]

[…]

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3.08-67, სამდივნოსი—3.06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3.81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3.80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3.80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73-24, მორიგისა და გამომშვების — 3.81-65, გამომცემლობისა — 3.51-81, სტამბის დირექტორის—3 77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110.000

ეე 00079